ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი.
№ 269 (13085)
სამშაბათი, 17 ნოემბერი, 1964 წ.
ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1964 წლის 16 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ვ. პოდგორნის მოხსენება „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების გაერთიანების შესახებ.

ამხ. ნ. ვ. პოდგორნის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები პ. ე. შელესტი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ნ. ზარობიანი, კ. ტ. მაზუროვი, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ი. ახუნდოვი.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ქვემოდ ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩია ამხანაგები პ. ე. შელესტი და ა. ნ. შელეპინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად ამხ. პ. ნ. დემიჩევი.

მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ფ. რ. კოზლოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან და მისცა ამხ. კოზლოვს შვებულება მკურნალობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. ი. პოლიაკოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება გამოყვანილ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის შემადგენლობიდან ამხ. ა. ი. აჯუბეი მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებად გადაყვანილ იქნენ ამხანაგები ა. ა. ეპიშევი, ვ. თ. ქიბალინი, ვ. ი. კონოტოპი, ი. კ. ლუტაკი, პ. მ. მაშეროვი, გ. ი. პოპოვი, ვ. ე. სემიჩასტნი, გ. ფ. სიზოვი.


პ. ე. შელესტი

ა. ნ. შელეპინი


პ. ნ. დემიჩევი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ

1. კომუნისტურ მშენებლობაში პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერების, თითოეული ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანების უფრო წარმატებით გადაჭრის მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული დავუბრუნდეთ ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების აგების პრინციპს, რომელიც უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად შევიდა პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ წესდებაში.

2. ოლქებსა და მხარეებში, სადაც პარტიული ორგანიზაციები გაყოფილი იყო სამრეწველო და სასოფლო ორგანიზაციებად, აღდგენილ იქნეს ერთიანი საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც გააერთიანებენ ყველა კომუნისტს, რომლებიც მუშაობენ ოლქის, მხარის როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მხარის, ოლქის პარტიულ ორგანიზაციაში იყოს პარტიის ერთიანი სამხარეო, საოლქო კომიტეტი.

3. საჭიროდ იქნეს მიჩნეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების რეორგანიზაცია პარტიის რაიონულ კომიტეტებად, სადაც თავმოყრილი იქნება ხელმძღვანელობა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი, მათ შორის მოცემული რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების პარტიული ორგანიზაციებისადმი.

გაუქმდეს სამრეწველო-საწარმოო (ზონალური) პარტიული კომიტეტები, რომლებიც წინათ შეიქმნა სასოფლო რაიონების ტერიტორიაზე და საოლქო, რესპუბლიკურ ცენტრებში.

4. ყველა მხარესა და ოლქში, სადაც აღდგენილ იქნება პარტიის ერთიანი სამხარეო კომიტეტები და საოლქო კომიტეტები, 1965 წლის დეკემბერში მოეწყოს პარტიული კონფერენციები შესაბამისი პარტიული ორგანოების ასარჩევად.

5. მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული წინადადებანი სამხარეო, საოლქო სამრეწველო და სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების წესის შესახებ. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა ორგანიზაციული საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მხარეებსა და ოლქებში ერთიანი პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნასთან, აგრეთვე ერთიანი საბჭოთა ორგანოების აღდგენასთან.

პროდუქციის ხარისხი და წახალისება

ლვოვი. 16 ნოემბერი. (საკდესის კორ.). ლვოვის ტელევიზორების საგარანტიო ვადა ერთიორად გადიდდა. ამ წარმატების მიღწევაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის ხარისხისათვის მუშათა და სპეციალისტთა მატერიალური წახალისების უფრო მოქნილი სისტემის დანერგვა.

აი როგორ ხდება ეს. წუნის შემთხვევაში კონტროლიორი უბნის ოსტატთან ერთად აფორმებს კონკრეტულ დამნაშავეს. ყოველი ასეთი შემთხვევა აისახება მაჩვენებელთა დაფაზე, რომელზეც აღნიშნავენ წუნისმკეთებლის გვარს. უწუნოდ მომუშავეებს ეძლევათ პრემია, ხოლო წუნის მკეთებლებს არ აძლევენ მას.

ვინც ნახევარი წლის განმავლობაში უწუნოდ მუშაობს, ეძლევა პირადი ტვიფრი, რომელიც უფლებას ანიჭებს ჩააბარონ ნაწარმი ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ შეუმოწმებლად. ხოლო საუკეთესოებს, გარდა ამისა, ენიჭებათ „ოქროხელი ოსტატის“ წოდება. მუშებს ფართოდ ასწავლიან შრომის მოწინავე მეთოდებს.

უბნის უფროსის, ოსტატის, ტექნოლოგის, საამქროს უფროსის შრომა ნაზღაურდება პროდუქციის ხარისხის მიხედვით.

ქარხანაში აქტიურად მოქმედებს ხარისხის საბჭო. მის შემადგენლობაში არიან წარმოების მოწინავენი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. საბჭოს მონაწილეობით შეიქმნა ეგრეთ წოდებული საიმედოობის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში სწავლობენ საწარმოო უწესივრობათა მიზეზებს, სახავენ მათი აღმოფხვრის რეკომენდაციებს.

კვირაში ერთხელ, ოთხშაბათს — საწარმოში ეწყობა „ხარისხის დღე“.

ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ლვოვის ტელევიზორების ქარხნის გამოცდილება და წინადადება მისცა თავის ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საქარხნო კომიტეტს ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ ეს გამოცდილება.

2 ათასი შეკეთებული ტრაქტორი დღეში

მოსკოვი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ტრაქტორების შეკეთება. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების შესაბამისად, 1 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე შეკეთებულია 74260 ტრაქტორი — 9 ათასით და უფრო მეტი, ვიდრე გასული შემოდგომის ამავე პერიოდში.

ყოველდღე ჩვენს ქვეყანაში ორი ათასამდე ტრაქტორი იღებს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადყოფნის პასპორტს.

ჩვენი დიდი სამშობლო

შრომით ვახტაზე

შვიდწლედის მეექვსე წლის მიჯნაზე

წლიური გეგმა შესრულებულია

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ ახალი წარმატებებით დაამთავრონ შვიდწლედის მეექვსე წელი. ამ დღეებში სასიხარულო ცნობები მოდის რაიონებიდან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.330 ცენტნერზე მეტი მატყლი ნაცვლად 3.300 ცენტნერისა. მცხეთის რაიონმა მატყლის დამზადების წლიური გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულა. გეგმა შესრულა აგრეთვე საგარეჯოს რაიონმა. თელავის რაიონმა 102,5 პროცენტით შესრულა ტყავნედლეულის დამზადების წლიური დავალება, ზნაურის რაიონმა — 101,9 პროცენტით, ლანჩხუთის — 106,1, გეგეჭკორის — 128,8, მაიაკოვსკის — 105,3, გუდაუთის რაიონმა 109,9 პროცენტით.

ახალციხის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.295 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.200 ტონისა. გურჯაანის რაიონში ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 152 პროცენტით, სიღნაღის — 114,9, ზესტაფონის — 103,4, ზუგდიდის რაიონში — 101 პროცენტით. დიდ წარმატებას მიაღწიეს გარდაბნის რაიონის მშრომელებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 19.119 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 18.000 ტონისა.

„ექსტრა“ და „საქართველოს თაიგული“

წყალტუბო. (საკ. კორ.). ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ჯერ კიდევ ცხრა თვეში ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულა და გასულ წელთან შედარებით 97 ტონით მეტი ჩაის მზა პროდუქცია გამოუშვა.

1 ნოემბრისათვის უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება შესრულებულია 123 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით არის გამოშვებული სახელგანთქმული ქართული ჩაი — „ექსტრა“ და „საქართველოს თაიგული“.

ახალი საამქროები

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას ახალი კეთილმოწყობილი საამქროები შეემატა. საექსპლოატაციოდ გადაეცა სატაბლეტო და დასაფასოებელი ახალი კორპუსები. სატაბლეტო ახალი საამქრო წლიურად ასეულ ათასობით ტონა პროდუქციას გამოუშვებს, ხოლო დასაფასოებელი საამქრო — მილიონობით სხვადასხვა სახის კონვალიტებს (ტაბლეტების ჩასაწყობი კოლოფები) აწარმოებს.

დამთავრების პროცესშია საამპულე საამქროს ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც ნოემბრის დასასრულს მოგვცემს პირველ პროდუქციას.

რაციონალიზატორთა დახმარებით

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის რაციონალიზატორები დიდ დახმარებას უწევენ საწარმოს კოლექტივს წარმოების რეზერვების გამოვლინებაში, ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის ბრძოლის საქმეში.

ქარხანაში ამჟამად ორასამდე რაციონალიზატორია, რომლებსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი ხარატი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი მირდატ აკოფოვი.

დაუღალავი, ტექნიკური აზრის ავტორებმა მარტო მიმდინარე წელს წარმოებაში დანერგეს სამოცამდე რაციონალიზატორული წინადადება. ამან მანქანათმშენებლებს საშუალება მისცა მიეღოთ 160 ათასი მანეთის ეკონომია.

ტრაქტორების რემონტი

საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების დროულად შესრულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ტექნიკა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების მუდამ მზადყოფნას. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ჩვენს რესპუბლიკაში უნდა შეკეთდეს 1.304 ტრაქტორი.

კარგად იმუშავეს ყვარლის რაიონის მექანიზატორებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 28 ტრაქტორის ნაცვლად შეაკეთეს 33 ტრაქტორი და მეოთხე კვარტალის გეგმა 117,9 პროცენტით გაანაღდეს. შეკეთებული ტრაქტორები კვლავ გუგუნებენ მინდვრებში.

მძლავრი ტურბოკომპრესორი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში საწარმოს თბოელექტროცენტრალში დაამთავრა ახალი მძლავრი ტურბოკომპრესორის მონტაჟი და საექსპლოატაციოდ გადასცა იგი.

ეს მძლავრი აგრეგატი, რომელიც დამხმარე მოწყობილობასთან ერთად თბოელექტროცენტრალის ახალ ორსართულიან შენობაში დამონტაჟდა, ქართველ ავტომშენებელთა სპეციალური შეკვეთით დაამზადეს ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში.

ტურბოკომპრესორი საათში რამდენიმე ათას კუბმეტრ შეკუმშულ ჰაერს მიაწვდის ქარხანას. მისი ამუშავებით საწარმო ათეულ ათასობით მანეთს დაზოგავს.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, ახალ-ახალ ზღუდეებს იპყრობენ. მათი თავდადებული შრომით მარგანეცის ტრესტი რესპუბლიკის საწარმოებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის შედეგებით პირველ ადგილზე გამოვიდა. მაღაროელებმა მოიპოვეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ჭიათურელები უკეთ მუშაობენ მეოთხე კვარტალში. მათ ოცი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის დავალება და დეკემბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს ათობით ეშელონი მარგანეცი გაუგზავნეს.

მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმმა და მარგანტრესტმა შეაჯამეს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სექტემბერ-ოქტომბერში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი გ. თაბაგარი), რომელსაც მარგანეცის მრეწველობაში პირველი ადგილი მიეკუთვნა.

ენგურელთა წარმატება

როგორც ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის დირექტორი ამხ. ნ. აფაქიძე გვატყობინებს, კანტორის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით ნოემბრის პირველ დეკადაში შეასრულა.

საწარმოო გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს ჯუმათისა და სვანეთის უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც გ. ბუკია და ე. კახიანი ხელმძღვანელობენ.

ენგურელმა მეტყევეებმა იკისრეს წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოზიდონ 8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამძიმარი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა კანადის კომპარტიის ეროვნულ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც დიდი სამძიმარი განუცხადა კანადისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, კანადის კომპარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ლესლი მორისის უდროოდ გარდაცვალების გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ ლესლი მორისის დაუცხრომელმა მოღვაწეობამ, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცება, კანადისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარება, მოუპოვა მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრების, მთელი საბჭოთა ხალხის დამსახურებული პატივისცემა. (საკდესი).

საიდუმლო სხდომა ბონში

ბონი. 16 ნოემბერი. (საკდესი). ბონში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში დღეს გაიხსნა დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს სხდომა. დღის წესრიგშია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის პრობლემები, ნატოსა და ევროპული პოლიტიკის პრობლემები. სხდომა მიმდინარეობს მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ განხილვის ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის პრობლემა.

სხდომას თავმჯდომარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი.

ბუნდესვერი იარაღდება

ბონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). უახლოეს დროში დასავლეთ გერმანიის ფირმები, რომლებიც შედიან საავიაციო მრეწველობის გაერთიანებებში „ნორდი“ და „ზიუდი“, დაიწყებენ ბუნდესვერის შეკვეთების შესრულებას — ააშენებენ 200 სატრანსპორტო ვერტმფრენს. ეს მშენებლობა განხორციელდება ამერიკის ლიცენზიით. როგორც დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, სატრანსპორტო ვერტმფრენები განკუთვნილია ბუნდესვერის სახმელეთო და საავიაციო ნაწილების აღჭურვისათვის.

გაიხსნა ინდოეთის პარლამენტის სესია

დელი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ინდოეთის პარლამენტის მორიგი სესია. როგორც პრესა იუწყება, მიმდინარე სესია განიხილავს მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სესია განიხილავს აგრეთვე ინდოეთში სასურსათო მდგომარეობის საკითხებს.

ოფიციალური გახსნის შემდეგ სესიამ შეწყვიტა მუშაობა, რათა პატივი ეცა მრეწველობის მინისტრის ხ. ს. დასაპის ხსოვნისათვის, რომელიც ამას წინათ გარდაიცვალა. სესია ხვალ განაახლებს მუშაობას.

უკანასკნელი საათის

საპროტესტო მიტინგი

დარ-ეს-სალამი 15 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი პ. დიშლიუკი იუწყება: დღეს აქ გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია იმ შეთქმულების წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა მოაწყვეს ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დამხობის მიზნით. დემონსტრანტები შეიკრიბნენ პარტია ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის მთავარ ბინასთან, შემდეგ კი ჩაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებში. ამერიკის საელჩოს შენობასთან ისინი ერთხმად გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ნიერერეს, ძირს ამერიკელები!“. დემონსტრაციამ ჩაიარა ლოზუნგებით: „ამერიკელებო, წაეთრიეთ აფრიკიდან!“, „ბოლო მოვუღოთ იმპერიალიზმს აფრიკაში“, „ამერიკელებისა და მათი ლაქიების შეთქმულება ტანზანიის წინააღმდეგ მთელი აფრიკის წინააღმდეგ შეთქმულებაა!“.

დემონსტრაცია დამთავრდა მიტინგით დარ-ეს-სალამის ცენტრალურ მოედანზე. მიტინგზე გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯულიუს ნიერერე, რომელმაც განაცხადა, რომ ტანზანიის ხელისუფლებმა აღმოაჩინეს იმპერიალისტთა შეთქმულება, რომლებიც აპირებდნენ ტანზანიის მთავრობის დამხობას. შეთქმულების არსებობას ადასტურებს დოკუმენტები, რომლებიც რესპუბლიკის მთავრობას აქვს.

დასავლეთ სახელმწიფოებს, და კერძოდ, პორტუგალიას, თქვა ნიერერემ, სურთ დაგვაშინონ, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ. ყველა შემთხვევაში ტანზანია ერთგულად დაიცავს თავის პოლიტიკას და კვლავინდებურად დაეხმარება ყველა განმათავისუფლებელ მოძრაობას აფრიკაში.

შეეხო რა ტანზანიის საგარეო პოლიტიკას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ დაამყარა მეგობრული ურთიერთობა მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებთან. და ვერავინ ვერ გვაიძულებს გავწყვიტოთ ეს ურთიერთობა.

ტანზანიის მთავრობა, თქვა დასასრულ ნიერერემ, მუდამ ფხიზლად არის. მან მოუწოდა მთავრობის აპარატის მუშაკებს ფხიზლად იყვნენ.

გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი, გავაუმჯობესოთ ხარისხი

ეროვნული [illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კაპიტალური მშენებლობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრიული დარგია. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშენებლობის დაჩქარებასა და გაიაფებაზე. იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად და გონივრულად გამოვიყენებთ კაპიტალურ დაბანდებებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 12 ნოემბერს გაიმართა, ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთა კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობას, გამოარკვია არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიზეზები, დასახა კონკრეტული გზები მათი სწრაფი აღმოფხვრისათვის.

მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ.

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად, თქვა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ, საქართველოს მშენებელთა მრავალათასიან არმიას თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში. რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფისა და სამშენებლო ორგანიზაციების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. გაუმჯობესდა, უფრო კვალიფიციური გახდა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობის პარტიული ხელმძღვანელობა.

შვიდწლედის ხუთ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხამ შეადგინა 2 მილიარდ 204 მილიონი მანეთი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება კაპიტალურ დაბანდებებს მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში ერთად. შვიდწლედის წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 183 ახალი სამრეწველო საწარმო და დიდი საამქრო. მათ შორის — ლაჯანურის და ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურები, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ორი ტურბოგენერატორი, ჭიათურის გამამდიდრებელი და ცენტრალური საბოლოო დამუშავების ფაბრიკები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი მძლავრი დახურული ელექტროღუმელები, თბილისის, ცხინვალისა და ბათუმის ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნები, სახლთსამშენებლო, ღვინისა და კონსერვის ქარხნები, ჩაის ფაბრიკები და სხვ. რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით წარმოებს ქიმიის ობიექტების მშენებლობა. ახლა რუსთავში შენდება ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მთელი კომპლექსი, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო — სინთეზური ბოჭკოს ქარხანა.

შვიდწლედის დამდეგიდან საქართველოში აშენდა დაახლოებით 5 მილიონ 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დიდი მასშტაბით გაიშალა სამოქალაქო მშენებლობა. აშენდა 166 სკოლა, ბევრი საავადმყოფო, კლუბი, კულტურის სახლი, კინოთეატრი, სასპორტო ნაგებობა. კვლავ ვითარდება საკურორტო მშენებლობა. დიდი მუშაობაა გაწეული მაგისტრალური გაზსადენების გაყვანისათვის, სამრეწველო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციისათვის.

უკანასკნელ წლებში ფართოდ განვითარდა სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ, საირიგაციო მშენებლობა. მეურნეობის ამ დარგში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ შვიდწლედის 5 წელიწადში შეადგინა 212 მილიონი მანეთი.

განუხრელად იზრდება საშენ მასალათა მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა. ისეთ სახეობათა პროდუქციის მხრივ, როგორიც არის ცემენტი, შიფერი, კერამიკული ნაკეთობანი, უკვე გადაჭარბებულია წარმოების დონე, რომელიც გათვალისწინებული იყო შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ მშენებლობის ხელმძღვანელობა, ერთ ორგანოში — მშენებლობის სამინისტროში მოეყარათ თავი საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის. წვრილი, დაქსაქსული ორგანიზაციების ბაზაზე მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სპეციალიზებული ტრესტი „საქსოფლმშენი“.

რამდენადმე გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებმა. ინერგება მეტი ტიპური პროექტები, მნიშვნელოვნად შემცირდა კონსტრუქციებისა და დეტალების ტიპური ზომები. ამის შედეგად შემცირდა მშენებლობის ვადა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა სამუშაოთა თვითღირებულება.

ამასთან, აღნიშნა მომხსენებელმა, კაპიტალური მშენებლობა ჯერ კიდევ აფერხებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას. როგორც ზრდის ტემპის, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ მშენებლობა ჩამორჩება პარტიის მიერ დასახულ მოთხოვნებს და ამოცანებს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტემპი ისევ დაბალია, არ სრულდება კაპიტალდაბანდებათა გეგმები, უზრუნველყოფილი არ არის საწარმოო სიმძლავრეების, სოფლის მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დროულად ამოქმედება.

მიმდინარე წლის 9 თვის კაპიტალდაბანდების გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა მხოლოდ 78,6 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა— 85,3 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, ვაჭრობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სამინისტროები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო.

მიმდინარე წლის 9 თვეში რესპუბლიკაში გეგმის შესრულებას დააკლდა 7,310 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 480 საწოლისათვის გათვალისწინებული საავადმყოფოები, 4.390 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლები, 485 ბავშვისათვის გათვალისწინებული საბავშვო დაწესებულებები.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობის სერიოზული ჩამორჩენის ძირითადი მიზეზებია ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაქსაქსვა მშენებლობის პროცესში ერთდროულად მეტად გაუმართლებლად ბევრ საწარმოსა და ობიექტზე; სატიტულო სიებში ისეთი მშენებლობების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო ასიგნებებით, პროექტებით, მოწყობილობით, მასალებითა და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებით; დიდი უწესრიგობაა მშენებლობის ორგანიზაციაში.

სახმშენი, სახელმწიფო საგეგმო კომისია, სახალხო მეურნეობის საბჭო, შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, რომლებიც კაპიტალურ მშენებლობას ეწევიან, აგრეთვე მშენებლობის სამინისტრო და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები, ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად არ ხელმძღვანელობენ კაპიტალურ მშენებლობას, საჭირო ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ დიდ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ამ დარგში.

საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პროგრესული მასალების დანერგვისა და კონსტრუქციების უნიფიკაციის საკითხებს, ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ დამყარებული მჭიდრო კავშირი მშენებლობებთან. რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების განაშენიანებაზე უარყოფითად მოქმედებს ის, რომ არა გვაქვს საცხოვრებელ და სამოქალაქო ნაგებობათა კარგი ტიპური პროექტები. რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები ხშირად არღვევენ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და გაცემის ვადებს, სერიოზულ შეცდომებს უშვებენ ფინანსურ დოკუმენტაციაში, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ მშენებლობისადმი ავტორის ზედამხედველობას.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მუშაობას. მან აღნიშნა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარე 9 თვის გეგმა სამინისტრომ 91.1 პროცენტით შეასრულა. სამინისტროს 13 საერთო-სამშენებლო ტრესტიდან ათმა ვერ შეასრულა დადგენილი გეგმა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ტრესტი № 6 (მმართველი ამხ. ამიჩბა), ტრესტი № 2 (მმართველი ამხ. ჰურაძე), ტრესტი № 5 (მმართველი ამხ. უსტიაშვილი), თბილმრეწმშენი (მმართველი ამხ. გოგიჩაიშვილი) და სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო (უფროსი ამხ. მარგიევი).

სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში სსრ კავშირის სახმონტაჟსპეცმშენის სპეციალურ სამონტაჟო ორგანიზაციებს, რომლებმაც ცხრა თვის გეგმა 94,4 პროცენტით შეასრულეს. დავალება ვერ შეასრულეს „ენერგოჩერმეტმა“ (უფროსი ამხ. ჩიჩუა), „მეტალურგმონტაჟმა“ (უფროსი ამხ. იმხაძე), „კაველექტრომონტაჟის“ თბილისის მეორე სამმართველომ (უფროსი ამხ. ჭედია), „კავსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველომ (უფროსი ამხ. ჯახუტაშვილი) და „მრეწვენტილაციამ“ (უფროსი ამხ. ჩიქოვანი).

სამეურნეო წესით კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ელექტროტექნიკური, საფეიქრო და ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოები, სამტრესტი, საქართველოს პურისა და საკონდიტრო ნაწარმის, საქართველოს ნავთობის ტრესტები. მშენებლობის ცხრა თვის გეგმა სამეურნეო წესით ვერ შეასრულეს ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა.

ამხ. გ. ა. გეგეშიძემ პლენუმის მონაწილეთა ყურადღება განსაკუთრებით მიაქცია იმას, რომ რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ტემპი ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობის ზრდის ტემპს. მშენებლობის სამინისტროს და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების მიზეზით წლითიწლობით ვერ ხდება მნიშვნელოვანი სახსრების ათვისება მშენებლობის ინდუსტრიული ბაზის განვითარებისათვის.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო წლიდან წლამდე ვერ ასრულებს საშენ მასალათა გადაზიდვის გეგმას. მიმდინარე წლის 9 თვეში ტონობით და ტონა-კილომეტრობით ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია სულ 90 პროცენტით.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის საკითხებს. მომხსენებელმა მოიყვანა კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადების ტექნიკური პირობების უხეში დარღვევის, პროექტებისაგან გადახვევის ფაქტები. დამაკმაყოფილებელი არ არის გზის მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის იმ სამუშაოთა ხარისხი, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ შეასრულა.

ამხ. გ. ა. გეგეშიძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს სსრ სახმშენი (თავმჯდომარე ამხ. ს. ლორთქიფანიძე) დამაკმაყოფილებლად ვერ ახორციელებს საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლს, დროზე ვერ უზრუნველყოფს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ტიპურ დაპროექტებაში, ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს პროგრესული კონსტრუქციებისა და მასალების დანერგვის, მშენებლობის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ორგანიზაციული ფორმების გაუმჯობესების საკითხებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებებისათვის არცთუ მცირე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. კაპიტალური მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება ახალ ამოცანებსა და მოთხოვნებს. ყველა პარტიული ორგანიზაცია ღრმად და თანამიმდევრულად როდი სწავლობს კაპიტალური მშენებლობისა და განსაკუთრებით სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის საკითხებს. ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ენერგიულ ღონისძიებებს არ სახავს, რომ განამტკიცოს სამშენებლო ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით, აღმოფხვრას სამუშაო ძალის დენადობა და გააუმჯობესოს მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, მშენებლობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს არ უწევს ყოველდღიურ კონკრეტულ დახმარებას, საკმაოდ არ ავრცელებს მოწინავე მშენებელთა გამოცდილებას, ნაკლებად ავითარებს სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას. სათანადო ყურადღება არ ექცევა პოლიტიკურ-მასობრივ და ორგანიზატორულ მუშაობას, სამშენებლო ორგანიზაციებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებას, გეგმის შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, მშენებლობებზე ზუსტი სახელმწიფო წესრიგის დამყარებას.

ამხ. გ. ა. გეგეშიძემ მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშენებელთა წინაშე დასახულია უდიდესი ამოცანები. მშენებლებმა წელს მწყობრში უნდა ჩააყენონ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მძლავრი დახურული ელექტროღუმელი, ბათუმის ცენტრალური გადასატვირთი ნავთობაზა, მანგანუმის ახალი მაღაროები და სხვ. საჭიროა აგრეთვე დავაჩქაროთ სამუშაოები რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგის, რუსთავის ფოლადსამსხმელო ქარხნის და მეტალურგიული ქარხნის ფოლადის უწყვეტი სხმის საამქროს მშენებლობებზე, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, ელექტროტექნიკური მრეწველობის ხუთი ქარხნის მშენებლობებზე და, რაც ყველაზე მთავარია, ისეთი უნიკალური ნაგებობის მშენებლობაზე, როგორიც არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური. მშენებლები, მემონტაჟეები, დამპროექტებლები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ახალ წარმატებებს მიაღწიონ, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს ამხ. **ო. ლოლაშვილს.**

შვიდწლედის მანძილზე, ამბობს ამხ. ლოლაშვილი, თბილისის მშენებლებმა ბევრი და კარგად იშრომეს. მათ ააშენეს ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის ქარხნები „მიკროძრავი“ და „ელექტროძრავი“, ღვინის № 3 ქარხანა, აბრეშუმსაქსოვი ქაკარდის ფაბრიკა, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და სხვა. დიდად გაიშალა საბინაო მშენებლობა: ყოველწლიურად თბილისელთა ექვსი ათასი ოჯახი შედის ახალ კეთილმოწყობილ ბინებში.

თქმა არ უნდა, მშენებლებმა კარგად იმუშავეს. მაგრამ მშენებლობის ტემპი, ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელი დღის მოთხოვნებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა, აღნიშნავს ამხ. ლოლაშვილი, დახმარება უნდა გაუწიონ მშენებლებს, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომ ღირსეულად შეასრულონ საპატიო ამოცანა, გადააქციონ თბილისი მშენებლობის ტემპისა და კულტურის მხრივ სანიმუშო ქალაქად.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი **ზ. ჯაფარიძე.** ილაპარაკა რა მშენებელთა წარმატებების შესახებ, მან ხაზი გაუსვა, რომ ტრესტი დატვირთულია მთელი რიგი მეორეხარისხოვანი ობიექტების მშენებლობით. ორატორის აზრით, ამ სამუშაოების შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა სამშენებლო ორგანიზაციებს. ეს საშუალებას მისცემს ტრესტს მთავარი ყურადღება მიაქციოს იმას, რომ უფრო სწრაფად ჩააყენოს მწყობრში დიდი ქიმიის ობიექტები რუსთავში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. **ი. ჩანბას.** კაპიტალური მშენებლობა, ამბობს იგი, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. აფხაზეთში ახლა დიდი საკურორტო მშენებლობაა გაჩაღებული, მაგრამ, სამწუხაროდ, სამშენებლო მოედნებზე ჯერ კიდევ არ არის სათანადო წესრიგი. ნაწილობრივ ბრალი მიუძღვით მშენებლობის ხელმძღვანელებს, მაგრამ ხშირად ჩამორჩენა ხდება ობიექტების სამშენებლო მასალებით ცუდად მომარაგების გამო, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის, მასალის დაბალი ხარისხის გამო. ორატორს მოჰყავს მაგალითი: ოჩამჩირეში ააშენეს სკოლის ორი სართული. მაგრამ სამტრედიის ქარხნის ნაწარმოები აგურის დაბალი ხარისხის გამო ორივე სართული დასაშლელი გახდა, სახელმწიფოს დიდი ზარალი მოუვიდა.

ამხ. ჩანბა ამბობს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს კაპიტალური მშენებლობის საქმის გაუმჯობესებას რესპუბლიკაში.

— ჩვენი ტრესტის კოლექტივი, — თქვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საქართველოს სასოფლო მშენებლობის ტრესტის მმართველმა **შ. თათარაშვილმა,** — მიმდინარე წლის 10 თვეში შეასრულებს 32 პროცენტით მეტ სამუშაოს, ვიდრე მთელ გასულ წელს ასრულებდა. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეს ასე როდია. სოფლის მშენებლები მთელი ძალღონით არ შრომობენ, ნაკლებად იყენებენ ასაწყობ რკინაბეტონის ნაწარმს. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებსაც, რომლებიც ცუდად ამარაგებენ სოფლის ობიექტებს რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ა. კოპალაძემ** პლენუმის მონაწილეებს გააცნო აჭარის მშენებელთა მუშაობის ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ. პირველ რიგში ეს ეხება მშენებლობებზე შრომის სუსტ ორგანიზაციას, რომელიც იერიშობანას იწვევს, სრულად არ არის გამოყენებული მექანიზმები და ა. შ. სწორედ ეს არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ აჭარის მშენებლები ვერ ასრულებენ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმას.

— პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი, — თქვა დასასრულ ამხ. კოპალაძემ, — ყოველ ღონეს იხმარს, რათა გააუმჯობესოს მშენებლობის ხელმძღვანელობა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. **გ. ქართველიშვილს.** მან სავსებით სწორად ცნო კრიტიკა, რაც გამოთქმული იყო მოხსენებაში სამინისტროს მიმართ. მართლაც, მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე ცუდად არის შრომის ორგანიზაციის საქმე, ყველგან რაციონალურად როდი იყენებენ მექანიზმებს, ხშირად საექსპლოატაციოდ გადასცემენ ხოლმე დაბალი ხარისხისა და დაუმთავრებელ შენობებს. ხშირად ირღვევა სამრეწველო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო ობიექტების ამოქმედების მთავრობის მიერ დადგენილი ვადები. ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთ აგრეთვე თვით სამინისტროს აპარატის მუშაობაში.

იმისათვის, რომ მხარდამხარ მიჰყვებოდნენ თანამედროვეობას, ქართველმა მშენებლებმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ, გადაიღონ თავიანთი მოსკოველი და ლენინგრადელი კოლეგების გამოცდილება, ფართოდ დანერგონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. ქართველიშვილმა აღუთქვა პლენუმის მონაწილეებს, რომ სამინისტროს კოლექტივი გაითვალისწინებს კრიტიკას და მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს მშენებლებს.

წელი იწურება. როგორი მაჩვენებლებით ამთავრებენ მიმდინარე წლის სამხრეთ ოსეთის მშენებლები? სამწუხაროდ, მათი წარმატებანი დიდი არ არის. ვერ სრულდება დავალების თითქმის ვერც ერთი მაჩვენებელი.

— ოლქის პარტიულ ორგანიზაციას, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ი. ჩიაევმა,** — შეგნებული აქვს მთელი პასუხისმგებლობა საქმის ასეთი მდგომარეობის გამო და ყოველ ღონეს ხმარობს მის გამოსასწორებლად.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩამორჩენა მარტო ადგილობრივ მშენებელთა მიზეზით როდია გამოწვეული. შეიძლება თუ არა მიაღწიო ზუსტ მუშაობას, თუ სამშენებლო მოედნებზე საკმარისი რაოდენობით არ არის მექანიზმები, საშენი მასალები? მშენებელთა ეს სამართლიანი მოთხოვნა უახლოეს ხანში უნდა დაკმაყოფილდეს.

ტრიბუნაზეა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენი მასალების მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. **გ. ცინცაძე.** იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის საშენი მასალების ინდუსტრია სწრაფი ტემპით ვითარდება. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ცემენტის ქარხნები წლის ბოლომდე გამოუშვებენ თითქმის 1300 ათას ტონა პროდუქციას, ე. ი. 2,5-ჯერ გადააჭარბებენ მშენებელთა მოთხოვნილებას.

ყველაფერი ასეა, მაგრამ ხარისხი სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს სამართლიანად აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

ჩვენმა სამმართველომ, — ამბობს ამხ. ცინცაძე, — გაითვალისწინა ეს შენიშვნები და განახორციელა ღონისძიებანი საშენი მასალების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

— ეს პლენუმი, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **მ. კუჭავამ,** — მოწმობს, რომ პარტია ყოველთვის შეუნელებელ კონტროლს უწევს კაპიტალური მშენებლობის საკითხებს.

კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობისადმი აქტიური კონტროლის განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს. რესპუბლიკის მშენებლობებზე ამ კონტროლს ახორციელებენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ექვსი ათასი წევრი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური კომიტეტები, რომლებიც იბრძვიან გამფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ, პოულობენ წარმოების ახალ რეზერვებს, ეხმარებიან მშენებლებს მშენებლობის გაიაფებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

შემდეგ ამხ. კუჭავა შეეხო მშენებელთა მუშაობის ნაკლოვანებებს. მან თქვა, რომ ზოგიერთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციას დაბალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები აქვს, არ ზოგავენ ფულად და მატერიალურ სახსრებს, ადგილი აქვს უნაყოფო ხარჯებს, მიწერასა და სახელმწიფოს მოტყუებას. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის დატაცების შემთხვევები. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში წლის პირველ ნახევარში დაიტაცეს ათეულ ათასობით მანეთი.

მშენებლობას დიდ მატერიალურ ზიანს აყენებს აგრეთვე საშენი მასალების არა სწორი შენახვა, ტრანსპორტირება, ხარჯვა და აღრიცხვა. წარმოებული აგურის 5 პროცენტი იკარგება იმის გამო, რომ ტრანსპორტირების დროს არ იყენებენ ქვეშებსა და კონტეინერებს.

მშენებლობის დარგში ნაკლოვანებათათვის პირველ რიგში პასუხს აგებენ სამეურნეო ორგანიზაციები, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც ყოველთვის როდი უწევენ პრაქტიკულ დახმარებას მშენებლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. კუჭავამ თქვა:

— პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები, სრულყონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები, გააქტიურონ მათი მუშაობა კაპიტალური მშენებლობის ყოველმხრივი აღმავლობის საქმეში.

საქართველოს სახმშენის თავმჯდომარემ ამხ. **ს. ლორთქიფანიძემ** სავსებით აღიარა მოხსენებაში გამოთქმული კრიტიკა. სახმშენმა საკმაო პრინციპულობა არ გამოიჩინა, რის შედეგად სატიტულო სიებში შეტანილ იქნა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ტექნიკური დოკუმენტაციით, ტექნოლოგიური და კომპლექსური მოწყობილობით. სახმშენი ჯერ კიდევ საკმაო პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწევს რესპუბლიკის საიჯარო ორგანიზაციებს მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. სახმშენს ბრალი მიუძღვის იმაშიც, რომ მან დღემდე სახლთსამშენებლო ქარხნების ბაზაზე ვერ მოაწყო სახლთსამშენებლო კომბინატები. ასეთი კომბინატები საბინაო მშენებლობის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა, სადაც მთლიანად დაცულია ყველა სამშენებლო პროცესის თანამიმდევრობა და, რაც მთავარია, მთელი ნაწარმი გამოდის და სამშენებლო მოედნებზე მიდის სრული საქარხნო მზადყოფნით.

ამხ. ლორთქიფანიძემ წამოაყენა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს სამშენებლო საქმის გაუმჯობესებაზე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **შ. დოლიძეს.** პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ამბობს იგი, თავიანთ მთავარ მოვალეობად მიაჩნიათ დარაზმონ მშენებლები და მემონტაჟეები სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის.

ახლა რესპუბლიკის მშენებლობებზე შრომობს კომუნისტური შრომის 276 ბრიგადა, 19 საამქრო, 1.000-ზე მეტი დამკვრელი. 1.000-ზე მეტი ბრიგადა იბრძვის ამ საპატიო წოდებისათვის. მუშაობაში კარგი შედეგები მოაქვს აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გაშლილია თბილისის, ზაპოროჟიეს, ბაქოს მშენებლებს შორის.

პროფკავშირული ორგანიზაციები მუდამ ზრუნავენ მშენებელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი წესრიგი. უამრავი მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ დღემდე ვერ მოაწყო მშენებელთა კვება სამუშაო ადგილებზე.

მშენებლობებზე დიდია მუშახელის დენადობა. ამის მიზეზს პოვნა ადვილია. ეს არის ის, რომ ჯეროვნად არ არის მოწყობილი მშენებელთა ყოფაცხოვრება. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ბათუმის № 5 ტრესტის, ჭიათურის № 8 ტრესტის, ტყვარჩელის სამშენებლო სამმართველოს საერთო საცხოვრებლებში მშენებლებს შექმნილი არა აქვთ ელემენტარული პირობები.

კარგად არ დგას უსაშიშროების ტექნიკის საქმე სამშენებლო მოედნებზე.

— ეს ნაკლოვანებანი, — თქვა ამხ. დოლიძემ, — აღმოფხვრილ უნდა იქნას უახლოეს დროში. ეს არის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა.

თავის გამოსვლაში სსრ კავშირის სახმონტაჟსპეცმშენის საქართველოს საწარმოო-განმკარგულებელი სამმართველოს უფროსმა ამხ. **ვ. კლოჩკომ** დიდი ყურადღება დაუთმო იმ ფაქტებს, რომ მემონტაჟეებს დროზე არ აწოდებენ საჭირო მოწყობილობას. რესპუბლიკის მარტო შვიდ უმნიშვნელოვანეს მშენებლობას აკლია ათასობით ერთეული მოწყობილობა და ჩამკეტი არმატურა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა მოწყობილობის მონტაჟის დიდბლოკიანი მეთოდი და დასამზადებელი უბნების მოწყობა. ეს მეთოდი დაიბადა საქართველოში — რუსთავში და მიმდევრები ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ რესპუბლიკაში ამ მეთოდით მხოლოდ ორი სამონტაჟო ორგანიზაცია სარგებლობს.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. ლაბახუა.**

— მშენებლობის ნორმალური მიმდინარეობა, — თქვა ამხ. ლაბახუამ, — დამოკიდებულია მაძიებელთა, დამპროექტებელთა, მშენებელთა, საშენი მასალების მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა, აგრეთვე შემკვეთთა შეთანხმებულ მუშაობაზე. მაგრამ საბოლოოდ კაპიტალური მშენებლობის წარმატებით გაძღოლაში წამყვან და გადამწყვეტ როლს ასრულებენ სამშენებლო ორგანიზაციები. ისინი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნიან შრომის კარგ ორგანიზაციას, სამშენებლო ტექნიკის, მატერიალური და ფულადი რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ამხ. ლაბახუამ გააკრიტიკა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო და ხაზი გაუსვა, რომ განსაკუთრებით საჭიროა სამინისტროს განყოფილებათა მუშაობის გაუმჯობესება.

ორატორმა აღნიშნა ნაკლოვანებანი დაგეგმვაში და მოიყვანა ფაქტები, როცა რესპუბლიკის საიჯარო ორგანიზაციები დიდი დაგვიანებით იღებენ არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების სატიტულო სიებს.

კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მშენებლობანი უზრუნველყოფილი არ არიან მუშახელით. ამის გამო მწყობრში ვერ დგებიან სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები და მეცხოველეობის შენობები.

გვერდს ვერ ავუვლით ასამუშავებელი ობიექტების ნაკლოვანებებსაც. მაგალითად, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანას არ ჰყოფნის ჩამკეტი არმატურა, არ არის ელექტროტექნიკური მოწყობილობა რუსთავის ცემენტის ქარხნის მესამე ხაზისათვის.

დასასრულ ამხ. ლაბახუამ ილაპარაკა ზოგიერთ კონკრეტულ ღონისძიებაზე მშენებლობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

— რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისათვის ყოველწლიურად მილიონობით მანეთი გამოიყოფა, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ნ. გოძელაურმა,** — მაგრამ სამრეწველო მშენებლობის ხაზით მიმდინარე წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შეასრულეს მხოლოდ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა, ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველომ და „ზესტაფონმშენის“ სამმართველომ. დანარჩენი ტრესტებისა და სამმართველოების მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია.

კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით დავალების შესრულება არსებითად ჩამორჩება სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს. ბუნებრივია, თუ სამრეწველო ობიექტის მშენებლობა არ დამთავრებულა, აქ შეუძლებელია მოწყობილობის დამონტაჟება. აი რატომ არის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწყობებში მილიონობით მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა დაგროვდა.

მაგრამ მეორე მხრივ მთელი რიგი ასამუშავებელი ობიექტები უზრუნველყოფილი არ არის ტექნოლოგიური მოწყობილობის საჭირო რაოდენობით. ეს საკითხები უნდა გადაჭრან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ.

სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე: მშენებლობა მომარაგებულია ყველაფრით, მაგრამ მშენებლები მაინც ცუდად მუშაობენ. ასეა საქმე ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში და სხვა ობიექტებზე. ამიტომ ყოველთვის მართალი როდი არიან მშენებლები და მემონტაჟეები, როცა მოწყობილობის უქმარობასა და სხვა მიზეზებს უჩივიან.

სერიოზული პრეტენზიები შეგვიძლია წავუყენოთ დამპროექტებლებსაც. ისინი ხშირად არაოპერატიულად მუშაობენ, ტექნიკურ დოკუმენტაციაში გვხვდება უზუსტობანი, შეცდომები, რომელთა გამოსწორებას თვეები სჭირდება.

ამხ. გოძელაურმა მშენებლებსა და მემონტაჟეებს მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ასამუშავებელ ობიექტებს.

— კაპიტალურ მშენებლობაზე, — თქვა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ე. ჯაფარიძემ,** — შვიდწლედის ხუთი წლის განმავლობაში ორ მილიარდ მანეთზე მეტი დაიხარჯა, აშენდა ასობით სამრეწველო ობიექტი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

მაგრამ საგეგმო კომისიებმა და უწყებებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ პარტიისა და მთავრობის დავალებათა განხორციელებისათვის. უკეთ უნდა მოვაწყოთ მშენებლობათა მომარაგება საშენი მასალებით, მოწყობილობით, ტექნიკური დოკუმენტაციით. არ შეიძლება სატიტულო სიებში იმ ობიექტების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ყოველივე ამით.

საშენი მასალების გადახარჯვა ხშირად დაკავშირებულია არარაციონალურ გამოყენებასთან, მაგრამ მშენებლები ზოგჯერ თვალს არიდებენ ამას. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მოითხოვს გამოვუყოთ დამატებით ბევრი ლითონი. მაგრამ მიმდინარე წლის იანვარში მას ხომ უკვე ჰქონდა 2,5-ჯერ მეტი ლითონი, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. და ეს ერთადერთი მაგალითი როდია.

რესპუბლიკის მოთხოვნილება ცემენტზე სავსებით დაკმაყოფილებულია, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთ ობიექტზე ცემენტის ნაკლებობა იგრძნობა. ეს იმიტომ ხდება, რომ ცემენტს აძლევენ ობიექტებს, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებული არ არის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით.

თუ ახლავე არ განვახორციელეთ ქმედითი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ჩაფუშვის საფრთხე მოელის არა მარტო მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას, არამედ მომავალი წლის გეგმასაც, მით უმეტეს, რომ 1965 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობაზე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.** როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა, თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ყოველმხრივ და ღრმად გამოიკვლიეს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას, სამართლიანად გააკრიტიკეს ისინი, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს ჩამორჩენისათვის, გამოთქვეს ბევრი საყურადღებო წინადადება, რომელთა მიზანია ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის დონის შემდგომი ამაღლება. ორატორმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პლენუმის მუშაობა საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს, და მოიყვანა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომელიც გვასწავლის: „გადააქციეთ ყრილობები და თათბირები არა მიტინგების ორგანოებად, არამედ სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოებად, იმ ორგანოებად, სადაც ჩვენ შევძლებთ ჯეროვნად შევისწავლოთ სამეურნეო მშენებლობა“.

ამიტომ, შენიშნა ამხ. მჟავანაძემ, თუმცა ჩვენს მშენებლებს, უდავოა, გარკვეული მიღწევები და წარმატებები აქვთ, პლენუმზე სავსებით სწორად დაეთმო ყურადღება ნაკლოვანებებს, გადაუწყვეტელ ამოცანებს. მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ძირითად ნაკლოვანებებზე. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მხოლოდ ცალკეულ საკითხებს.

ავიღოთ, მაგალითად, სასოფლო მშენებლობა. ეს სპეციფიკური, რთული საქმეა. ამავე დროს, არათუ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, არამედ რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ ორგანოსაც სოფლის მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სასოფლო მშენებლობის დავალებანი ბევრად უფრო ცუდად სრულდება, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ამისათვის პასუხისმგებლობა უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სასოფლო მშენებლობის ტრესტს.

ფორმალურად რესპუბლიკაში შექმნილია ოთხი მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომლებმაც ეფექტიანად და ოპერატიულად უნდა აწარმოონ ყველა სამშენებლო სამუშაო სოფლად. მაგრამ მოვიყვან ასეთ მაგალითს. № 2 მოძრავ მექანიზებულ კოლონას სწორედ იმიტომ ეწოდება მოძრავი, რომ სამშენებლო სამუშაოებს უნდა აწარმოებდეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. მაგრამ მას არ შეუძლია იმოძრაოს, რადგან განკუთვნილი ექვსი სატვირთო ავტომანქანიდან არც ერთი მანქანა არ გამოუყვიათ წელს, ხოლო ათი საერთო საცხოვრებელი ვაგონიდან მშენებლებს მხოლოდ სამი ვაგონი მისცეს. თუ ამას დავუმატებთ, რომ კოლონას არა აქვს მექანიკური სახელოსნოები, ელექტროსადგური და ბევრი სხვა რამ, ნათელი გახდება, რომ მას არ შეუძლია არათუ იმოძრაოს, არამედ აწარმოოს ობიექტების მშენებლობა სოფლის მეურნეობისათვის.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აცნობა პლენუმის მონაწილეებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის პროექტი. ჩვენი რესპუბლიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობისათვის, რომელიც 1965 წელს უნდა დაიწყოს, ასიგნებულია 48 მილიონი მანეთი. უნდა შესრულდეს სამუშაოთა დიდი მოცულობა: 25 მილიონი კუბური მეტრი მიწისა და 600 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები. ჩვენმა მშენებლებმა ახლავე უნდა დაიწყონ მზადება ამ პასუხსაგები მშენებლობისათვის.

პლენუმზე სავსებით სწორად აღიძრა სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის საკითხი: ბრძოლა კაპიტალური მშენებლობის ტემპის გაძლიერებისათვის განუყოფელია მშენებელთა მუშაობის ხარისხისაგან. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი სამუშაოს დაბალი ხარისხი უწინარეს ყოვლისა არამომთხოვნელობის, დაუდევრობისა და უყაირათობის შედეგია.

ორატორი განსაკუთრებით შეეხო საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხს. განა შეიძლება ჩავაბაროთ ობიექტები, სადაც ნედლი, უხარისხო მასალისაგან გაკეთებული კარ-ფანჯრის ჩარჩოები უკვე ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის მომენტისათვის იბრიცება, კარფანჯრები არ იხურება? განა შეიძლება ჩავაბაროთ საცხოვრებელი სახლები, სადაც დაბალი ხარისხის პარკეტისა და ფილის იატაკებია, კიბის მარშები დადგმულია ისე, რომ არ შეესაბამება საპროექტო ნიშნულებს, სადაც სანიტარულ-ტექნიკური მილსადენები დამონტაჟებულია ნორმების დიდი დარღვევით, სახლები, რომელთა ოთახებს მაშინვე ხელახლა ღებავს თითქმის თვითეული ახალმოსახლე? შეხედეთ ყოველ ახალ საცხოვრებელ სახლში, და დარწმუნდებით ამაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა მშენებლებმა არ იციოდნენ კარგად, ხარისხიანად შენება. ნახეთ, მაგალითად, რა კარგად იმუშავეს მათ საგარეჯოს სალტის სარემონტო ქარხნის მშენებლობაზე. აქ ყველაფერი კეთილსინდისიერად არის შესრულებული. კარგი საჩუქარი უძღვნეს ბავშვებს ახალი სასწავლო წლისათვის იმათაც, ვინც ააშენა 112-ე საშუალო სკოლის შენობა ლენინის რაიონში. იგრძნობა, რომ მშენებლებმა იმუშავეს თავიანთი პასუხისმგებლობის შეგნებით, მთელი სულით და გულით.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა უნერგავდნენ მშენებლებს თავიანთი პროფესიისათვის სიამაყის გრძნობას. საჭიროა, რომ თვითეულ მშენებელს შეეძლოს სიამაყით თქვას: ეს სახლი მე ავაშენე, ეს კედლები ჩემი მარჯვენით არის ამოყვანილი.

სამშენებლო სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშენებელთა უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით, რადგან ამ საქმის, ისევე როგორც ყოველი სხვა საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ.

სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ წარმოების ისეთი ნოვატორებით, სამშენებლო საქმის ისეთი ოსტატებით, როგორიც არიან „მთავართბილსამშენის“ რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი დ. იამანიძე, ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ექსკავატორის მემანქანე გ. ლომთათიძე, № 4 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გოგიაძე, ტყვარჩელის № 3 შახტის მშენებლობის სამთოგვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ჯორჯიკოვი, № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. პაპიძე და ბევრი სხვა. ამ ადამიანებს ახასიათებთ, უწინარეს ყოვლისა, მაღალი ოსტატობა, თავიანთი პროფესიის ყველა „საიდუმლოების“ ცოდნა.

კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, დაწვრილებით იყო ნათქვამი მოხსენებაში. ამიტომ ერთხელ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მუშათა კვალიფიციური კადრებით მშენებლობების უზრუნველყოფა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის შესრულების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელები მუდამ უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ყველაზე სრულად დააკმაყოფილონ მშენებელთა საწარმოო, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სულიერი მოთხოვნილებანი.

მუშაობის მაღალი რიტმის დამყარებაში, ყველა რგოლის შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სოციალისტური შეჯიბრების მძლავრმა ძალამ, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ. ამოცანა ის არის, რომ დღითიდღე ვზარდოთ შრომის გმირთა რიგები. პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა ისე უნდა მოაწყონ შეჯიბრება, რომ თვითეულმა მისმა მონაწილემ იცოდეს დღის, დეკადის, თვის დავალება, იცოდეს, რა შედეგები აქვს მის შრომას.

ამჟამად მშენებელთა და მემონტაჟეთა წინაშე დასახულია რთული საწარმოო და ტექნიკური ამოცანები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ღრმა ცოდნას, ხელმძღვანელთა უნარიან ორგანიზატორულ მუშაობას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მშენებლებს შორის.

ახლანდელ პირობებში, როცა ყურადღების ცენტრში პარტია აყენებს ხელმძღვანელი კადრების თეორიული მომზადების, იდეოლოგიურ მუშაობაში მათი პირადი მონაწილეობის საკითხებს, სრულიად შეუწყნარებელია ფაქტები, როცა სამშენებლო ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები აღარ მუშაობენ თავიანთ თავზე, არ იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, არ ზრუნავენ თავიანთი ზოგადკულტურული ჰორიზონტის გაფართოებისათვის.

სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, ახალი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი პარტია ლენინური გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭირეს მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. ამ გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო აამაღლეს კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი. პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა — უზრუნველყონ პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, თანამიმდევრულად განახორციელონ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა ავითარებდნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, გადაჭრით იბრძოდნენ ბიუროკრატიზმისა და პარადულობის, ტრაბახისა და ხმაურის წინააღმდეგ. ამასთან უნდა ახსოვდეთ, რომ თვითეული მუშაკის მთავარი მიზანი, წმიდათა-წმიდა მოვალეობა, რა პოსტზეც უნდა იყოს იგი, ხალხისადმი სამსახურია.

უნდა ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა პარტიისა და ჩვენს ქვეყანაში საქმის მდგომარეობისათვის, ფართოდ გავშალოთ ამხანაგური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოვიჩინოთ ნამდვილი შეუწყნარებლობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ყოველგვარი დარღვევისადმი.

როცა ჩვენს დღევანდელ პლენუმზე განვიხილავთ რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა პარტია ყურადღების ცენტრში აყენებს სამეურნეო მშენებლობის ისეთ მთავარ საკითხებს, როგორიცაა წარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლება, საბინაო მშენებლობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, მრეწველობის ყველა სახეობის პროდუქციის, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება, თავიანთი შრომის შედეგებში ადამიანთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, თქვა ამხ. მჟავანაძემ, უნდა განიხილონ ამ პლენუმის შედეგები, გააცნონ ისინი თვითეულ მშენებელსა და მემონტაჟეს, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ მშენებელთა კოლექტივებმა, აგრეთვე შემკვეთებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უთუოდ შეასრულონ კაპიტალური მშენებლობის გეგმა. ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშენებელთა მრავალათასიანი არმია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს იხმარს მშენებლობის გეგმის შესასრულებლად.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემდგომ გაუმჯობესებას. პლენუმმა მოუწოდა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს, სამრეწველო და სამონტაჟო ორგანიზაციებს, საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მუშებს და მოსამსახურეებს, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებს მთელი ძალები დარაზმონ იმისათვის, რომ დააჩქარონ მშენებლობის ტემპი, წარმატებით შეასრულონ კაპიტალური მშენებლობის 1964—1965 წლების სახელმწიფო გეგმა.

(საქინფორმი).

სოციალისტურ ქვეყნებში

პრაღა. ქალაქ გოტვალდოვოში დაიწყო ჩეხოსლოვაკიის კაუჩუკის მრეწველობის მეორე დიდი ცენტრის — სინთეზური კაუჩუკისა და სალტეების ქარხნის მშენებლობა. ეს საწარმო შეემატება დიდი ქიმიის საწარმოთა ოჯახს. ამ ბოლო წლებში დიდი ქიმია ფართოდ განვითარდა ჩეხოსლოვაკიაში. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში შენდება 6 დიდი ქიმიური საწარმო. მათ შორის ისეთი ინდუსტრიული გიგანტი, როგორიც არის ნავთობქიმიური კომბინატი „სლოვნაფტი" (ბრატისლავა), რომელიც უახლოეს წლებში ყოველწლიურად გადაამუშავებს 7 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს. ქალაქ სტრაჟსკში შენდება ქიმიური კომბინატი, რომელიც იმუშავებს საბჭოთა ბუნებრივი გაზით და გამოუშვებს ხელოვნურ სასუქებსა და ნედლეულს პლასტიკური მასების წარმოებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ქიმიური მრეწველობა, რომლის წარმოების მოცულობა 6-ჯერ და მეტად გაიზარდა ომამდელ პერიოდთან შედარებით, ათობით სახეობის პროდუქციას უშვებს. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა პლასტმასებისა და სინთეზური ბოჭკოების წარმოება.

ვარშავა. აქ გაიხსნა სრულიად პოლონეთის მომარაგებისა და გასაღების კოოპერაციის მეოთხე ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 1.100-ზე მეტი დელეგატი.

მომარაგებისა და გასაღების კოოპერაცია — ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია — დიდ როლს ასრულებს პოლონეთის სოფელში. იგი ახლა აერთიანებს 4 მილიონზე მეტ კაცს, ანუ სოფლის მოსახლეობის მეოთხედს. დიდი წარმატებებით შეხვდნენ პოლონელი კოოპერატორები თავიანთ ყრილობას. ფართოდ განვითარდა კოოპერაციული ორგანიზაციის საქმიანობა. 56 ათასზე მეტმა კოოპერაციულმა მაღაზიამ, რომლებიც პოლონეთის სოფლებში გაიხსნა. მარტო შარშან მშრომელებს მიჰყიდა 70 მილიარდი ზლოტის საქონელი. კოოპერაციის წილი სრულიად პოლონეთის სავაჭრო ბრუნვაში ახლა 30 პროცენტს აღწევს.

დელეგატები ყრილობაზე შეაჯამებენ კოოპერაციის 4 წლის მუშაობის შედეგებს და დასახავენ უახლოესი წლების ამოცანებს.

პეკინი. ჩინეთის ზღვისპირეთის პროვინციათა თევზსაჭერი მეურნეობანი ეწევიან შემოდგომის თევზაობას. ზღვაში 100 ათასზე მეტი მებადური გავიდა. 20 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის ამ პერიოდისათვის, დაიჭირეს თევზი ლიაონინის, ხებეის, ჯეძიანის მესარეწეებმა.

ბერლინი, ვისმარის გემსაშენ „მატიას-ტეზენ-ვერფტში" გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც საბჭოთა წარმომადგენლებს გადასცეს კომფორტაბელური სამგზავრო გემი „ივანე ფრანკო". ეს უდიდესი სამგზავრო გემია, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშენდა: მისი წყალწყვა 19 ათასი ტონაა. „ივანე ფრანკო" ახალი სერიის მეთაური გემია. ახლა გემსაშენში წარმოებს ამ კლასის მეორე გემის შიგა მოპირკეთების სამუშაოები. ამ გემს, რომელიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით შენდება, ეწოდა „ალექსანდრე პუშკინი".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს გემსაშენ „ვარნოვ-ვერფტში" (ვარნემიუნდე) წყალში ჩაუშვეს 12.400 ტონა წყალწყვის სატვირთო გემი, რომელიც განკუთვნილია საბჭოთა კავშირში ექსპორტისათვის. (საკდესი).

ჭეშმარიტი ხელოვნება

საბჭოთა მსახიობების წარმატება ტუნისში

ტუნისი, 14 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. მაკაროვი იუწყება: უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ტუნისში სომხეთის სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლები ედუარდ მანუკიანის მხატვრული ხელმძღვანელობით. ქალაქ ბიზერტის ყრილობათა სასახლის ხალხით გაჭედილ დარბაზში ნიჭიერმა მსახიობებმა შეასრულეს სომხური, რუსული, მოლდავური, ქართული და სხვა ხალხური ცეკვები და სიმღერები. აღტაცებით შეხვდნენ მაყურებლები მსახიობთა ყოველ გამოსვლას. ბიზერტის მცხოვრებნი განსაკუთრებით აღტაცებული არიან საბჭოთა კავშირ-ტუნისის მეგობრობის სიმღერით, რომელიც არაბულ ენაზე შეასრულეს.

კონცერტს დაესწრნენ ბიზერტის გუბერნატორი მ. ბაკუში და სხვა ოფიციალური პირები, ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სამრეწველო საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები.

კონცერტის დამთავრების შემდეგ გამოვიდა ტუნისის კულტურის საკითხთა სამდივნოს წარმომადგენელი მოჰამედ ბუდანი, რომელმაც მადლობა უძღვნა საბჭოთა ხელოვნების ოსტატებს ბრწყინვალე წარმოდგენისათვის და განაცხადა, რომ სომხეთის სსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები ხელს შეუწყობს ტუნისისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა მსახიობების გასტროლებს მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ტუნისის პრესა. „საბჭოთა მსახიობებმა, — წერს გაზეთი „პტი მატენი", — ტუნისელებს უჩვენეს ცოცხალი და დაუვიწყარი სპექტაკლები. ხალხურმა ცეკვებმა, რომლებიც დიდი ოსტატობით შესრულდა. მაყურებელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტუნისელებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ჭეშმარიტ ხელოვნებას".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ნახატი გამოქვეყნებულია ამერიკულ გაზეთ „ინკუაიერ ოფ ფილადელფიაში". ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა ექიმის როლში. იგი ცდილობს უმკურნალოს სეატოს — სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ბლოკს, რომლისთვისაც ჭრილობა მიუყენებია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პასუხს კონტინენტის ამ ნაწილში ჩადენილ პროვოკაციებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი სანიტარის მოვალეობას ასრულებს. იგი ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ცნობადაკარგულ ნატოს (აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს). ამ უკანასკნელს „ფეხები წართმევია". საბერძნეთი და თურქეთი ფეხშეწყობით არ მიდიან.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეკოწიწებული ბლოკების მდგომარეობის საინტერესო შეფასებას იძლევა ამერიკული გაზეთი.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 14 ნოემბერი. (საკდესი). სოფლის მეურნეობის 40 ათასი სპეციალისტი უნდა მოვამზადოთ კუბაში უახლოესი ათი წლის მანძილზე, განაცხადა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. იგი გამოვიდა ქალაქ მატანსასის ალვარო რეინოსის სახელობის შაქრის ლერწმის საწარმოო სასოფლო-სამეურნეო სკოლის კურსდამთავრებულთა წინაშე და ილაპარაკა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების უახლოესი წლების ფართო პროგრამაზე. მომავალში აგრონომები და ზოოტექნიკოსები გახდებიან უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო სკოლების ახლანდელი მოსწავლეები, სახალხო მამულების მუშები, კუბის უდიდესი სასკოლო ქალაქ „კამილო სიენფუეგოსის" მოსწავლეები.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ კუბას აქვს ყველა საშუალება გადაიქცეს მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად, სოფლის მეურნეობის განვითარების დონით კუბაში საუცხოო ბუნებრივი პირობები, მდიდარი მინერალური რესურსებია. მაგრამ მისი მთავარი სიმდიდრეა შესანიშნავი ხალხი.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიდელ კასტრომ მიუძღვნა ისეთ პრობლემებს, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების გადიდება, მუშახელის სწორი გამოყენება, ახალგაზრდობის აღზრდა.

საზეიმო სხდომა მექსიკოში

მექსიკოში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავს. კრება მოაწყო მექსიკა-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტმა.

მდგომარეობა სუდანში

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). სუდანის პრეზიდენტ იბრაჰიმ აბუდთან შეხვედრის დროს პრემიერ-მინისტრმა ჰათემ ელ-ჰალიფამ განაცხადა, რომ გაერთიანებულ ეროვნულ ფრონტს განზრახული აქვს შექმნას საბჭო სამი კაცის შემადგენლობით, რომელიც შეასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს პარლამენტის არჩევნების მოწყობამდე. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ხართუმიდან.

ი. აბუდის წასვლა, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი, ნიშნავს, რომ სუდანში საბოლოოდ აღმოიფხვრა სამხედრო პირთა ხელისუფლება. სამი კაცისაგან შემდგარ ახალ საბჭოში შევლენ მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო პირები. საბჭო ხელისუფლების სათავეში იქნება პარლამენტის ახალ არჩევნებამდე, რომელიც უნდა გაიმართოს 1965 წლის მარტში. არმიის სარდლობა დაექვემდებარება ოფიცერს, რომელიც საბჭოს ემორჩილება.

სუდანის მთავრობა „მოაწყობს სახელმწიფო აპარატის წმენდას არასასურველი ელემენტებისაგან" პარლამენტის არჩევნებამდე.

კაირო, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ხართუმიდან იუწყებიან, გაერთიანებულმა ეროვნულმა ფრონტმა სუდანის მთავრობას წარუდგინა ოფიციალური მემორანდუმი პრეზიდენტის პოსტიდან აბუდის გადაყენებისა და სამი კაცისაგან შემდგარი დროებითი საპრეზიდენტო საბჭოსათვის მისი ფუნქციების გადაცემის საკითხზე. ახლა ხართუმში განუწყვეტლივ იმართება პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირები ფრონტის ამ მოთხოვნის განხილვის მიზნით.

შპაიდელის მოგზაურობა

ბონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). შორეული და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო მრჩეველი, ყოფილი ჰიტლერელი გენერალი შპაიდელი.

უცხოეთის ამბები

დღეები და მოვლენები

საერთაშორისო ცხოვრება

მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა

ალჟირი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე მოისმინა ალჟირის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის ჰაჯ ბენ ალას ანგარიში სსრ კავშირსა და იუგოსლავიაში მისი მოგზაურობის შესახებ. პოლიტბიურომ, ნათქვამია ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ოფიციალურ ცნობაში, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მტკიცდება ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და იუგოსლავიასთან. პოლიტბიურომ განიხილა მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები და საკითხი აფრიკა-აზიის ქვეყნების კონფერენციისათვის მზადების შესახებ, რომელიც ალჟირში გაიმართება.

ატომური შეიარაღების კურსი

ბონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან ვაშინგტონში მოლაპარაკების დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა ფონ ჰასელმა განაცხადა, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წინანდებურად მოითხოვს განხორციელდეს რაკეტულ-ატომური ფლოტის შექმნის გეგმები", წერს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე".

პრესა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელიც მაკნამარამ და ფონ ჰასელმა განიხილეს, იყო „ევროპის წინა ხაზის დაცვის სტრატეგიული კონცეფცია", რომელიც შეიმუშავა ბუნდესვერის ხელმძღვანელმა შტაბმა. ამ „კონცეფციით" ბონის სამხედრო წრეები გულისხმობენ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ნატოს დამკვრელი ძალები განალაგონ უშუალოდ სოციალისტური ქვეყნების საზღვრების ახლოს და ეს ძალები აღჭურვონ რაკეტულ-ატომური იარაღით.

ეს საინტერესოა

☐ მას შემდეგ, რაც არსებობს საზღვაო ნაოსნობა, არსებობს მტკნარი წყლის პრობლემაც. აქამდე ზღვის წყლის გამოსახდელ დანადგარებში იყენებდნენ ქლორს, რაც არასასიამოვნო გემოს აძლევდა წყალს. ეს ხელს უშლიდა, რომ ფართოდ გამოეყენებინათ წყლის გამამტკნარებელი დანადგარები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა და ინჟინრებმა ვერცხლის იონების საშუალებით შეიმუშავეს გამტკნარების ახალი მეთოდი.

მოწყობილობას, რომლითაც ახლა აღჭურვილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა გემი შეუძლია საათში ხუთი კუბური მეტრი წყლის გამოხდა და წყალს არავითარი ცუდი გემო და სუნი არ ექნება.

☐ ამერიკის პოლიციამ ამას წინათ მიიღო აპარატი, რომელსაც შეუძლია განასხვაოს სხვადასხვა სუნი. ამ მექანიზმის ალღო ათასჯერ აღემატება ძაღლების ალღოს. მისი დახმარებით შესაძლებელი იქნება განისაზღვროს, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ვინ შევიდა ამა თუ იმ შენობაში.

☐ ურუგვაის დედაქალაქის მონტევიდეოს ზოოპარკში ცხოვრობს სპილო, რომელიც მუსიკის დიდი მოყვარულია. დღე არ გაივლის, რომ სპილომ რომელიმე თვალგაცეცებულ მომსვლელს არ მოპაროს ჯიბის ტრანზისტორი. ზოოპარკის დარაჯი ამტკიცებს, რომ სპილომ უკვე გადაყლაპა... თერთმეტი ტრანზისტორი; ზოგიერთი მათგანი თითქოს აქამდე უკრავს სპილოს კუჭში.

☐ ბრიტანეთის სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ინგლისში ყოველწლიურად სვამენ 850 მილიონ გალონ ჩაის (გალონი უდრის 4,5 ლიტრს). ამ რაოდენობის სითხით ტბა რომ შეიქმნას, ამ ტბაში ორმოცდაათი დიდი გემი იცურავებდა.

მოლაპარაკება ტეხასში

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დამთავრდა მექსიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის გუსტავ დიას ორდასის არაოფიციალური მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ლინდონ ჯონსონის პირად რანჩოში ტეხასის შტატში.

დიას ორდასმა კორესპონდენტებს განუცხადა, მე და ლინდონ ჯონსონმა დავადასტურეთ ჩვენი ვალდებულებანი განვაგრძოთ მუშაობა მშვიდობის ინტერესებისათვის, უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ნახევარსფეროში.

ჯერ კიდევ მოლაპარაკების დაწყებამდე ამერიკის პრესა, აღნიშნავდა რა, რომ მექსიკა ერთადერთი ქვეყანაა დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელმაც შეინარჩუნა დიპლომატიური ურთიერთობა კუბის რესპუბლიკასთან, გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკების მსვლელობაში ზეგავლენას მოახდენენ მექსიკის ახალ პრეზიდენტზე, რათა გააწყვეტინონ ურთიერთობა კუბასთან.

მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მექსიკის პოზიცია კუბის მიმართ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ არ შეცვლილა.

პერუს ტრაგედია

პერუში ბავშვების ნახევარი დაბადების შემდეგ იხოცება, ბევრი ბავშვი ვერ აღწევს სამი წლის ასაკს, პერუს დაახლოებით 5 მილიონი მცირეწლოვანი მოქალაქე შიმშილობს, განაცხადა ცნობილმა პერუელმა ექიმმა მანუელ სალსედომ.

ჯ. ბოლი მაინის ფრანკფურტში

მაინის ფრანკფურტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯ. ბოლი. აქედან იგი გაემგზავრება დასავლეთ ბერლინში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული გერმანია-ამერიკის კონფერენცია, რომელზეც განიხილავენ „ატლანტიკური პოლიტიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს".

ანტუან გიზენგას სიცოცხლე საფრთხეშია

ბრაზავილი, 14 ნოემბერი. (საკდესი). კომუნიკეში, რომელიც დღეს გაავრცელა აქ კონგოს განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ, ნათქვამია, რომ ანტუან გიზენგას სიცოცხლეს შეექმნა სერიოზული საფრთხე. ორი დღის წინათ ანტუან გიზენგა სასტიკად აწამეს.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ კონგოს ხელისუფალნი აპირებენ წაიყვანონ იგი ლეოპოლდვილიდან გაურკვეველი მიმართულებით.

განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ მოუწოდა აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურებს იხსნან პატრის ლუმუმბას იდეების მემკვიდრე.

„ზღვის დრაკონი" გაურბის ხალხს

ტოკიო, 14 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბიროუკოვი იუწყება: როცა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „ზღვის დრაკონი" სასებოს ნავსადგურში შევიდა, მისმა მეთაურმა კაპიტანმა გესმა გამოთქვა იმედი, რომ იაპონელები წყალქვეშა ნავის მეზღვაურებს ტრადიციული სტუმართმოყვარეობით შეხვდებიან. ამ იმედს არ ეწერა ახდენა. სამი დღის დგომის შემდეგ წყალქვეშა ნავმა დატოვა ნავსადგური, რომელიც მტრულად შეხვდა მას. [illegible] ნავი გააცილა იაპონიის საგუშაგო ხომალდების მთელმა ფლოტილიამ. წყალქვეშა ნავის შავი სხეული სწრაფად მიდიოდა წყალქვეშ, თითქოს ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა ნაპირზე გამოსულ ათასობით ადამიანს; მათ გულისწყრომით აღსავსე შეძახილებს: „შორს იაპონიის ნაპირებიდან", „აღარასოდეს გვენახოს"!

სამმა დღემ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური წყალქვეშა ნავები ვერ ნახავენ იაპონიის მიწა-წყალზე წყნარ თავშესაფარს.

წყალქვეშა ნავმა დატოვა იაპონია, მაგრამ ამ ქვეყნის მშრომელი ხალხის ბრძოლა ატომური საფრთხის წინააღმდეგ ამით როდი ამოიწურა. მისმა ცენტრმა ახლა იოკოსუკაში გადაინაცვლა. დღეს ცნობილი გახდა, რომ 16 ნოემბერს იქ მივა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ატომური წყალქვეშა ნავი. ამერიკის სამხედრო სარდლობამ, რომელიც შიშობს, რომ ახალი მასობრივი გამოსვლები გაიმართება, გადაწყვიტა ეს ნავი დამალოს თავის სამხედრო-საზღვაო ბაზაში. სპეციალურად გადატანილია ამ წყალქვეშა ნავის შემოსვლის დღეც. ნაცვლად 15 ნოემბრის კვირისა იგი შემოვა 16 ნოემბერს ორშაბათს. ამას შვრებიან იმ ვარაუდით, რომ ჩვეულებრივ დღეს მშრომელები ვერ მოაწყობენ სერიოზულ გამოსვლებს.

ცხოვრება უარყოფს ამ ვარაუდს.

გამოამჟღავნეს შეთქმულება

ზანზიბარი. 15 ნოემბერი. (საკდესი). „ზანზიბარის რევოლუციურმა მთავრობამ გამოამჟღავნა იატაკქვეშა დაჯგუფება, რომელიც მიზნად ისახავდა ზანზიბარის რევოლუციური მთავრობის დამხობას შეიარაღებული ძალის დახმარებით". ეს დღეს აღნიშნა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ზანზიბარის პრეზიდენტმა აბეიდ კარუმემ სპეციალურ განცხადებაში, რომელიც ზანზიბარის რადიომ გადასცა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამოძიების დროს მიღებული მონაცემების საფუძველზე იატაკქვეშა დაჯგუფების მთელ რიგ ხელმძღვანელებს უკვე გამოუტანეს განაჩენები. ზანზიბარის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო ტრიბუნალმა ხუთ კაცს მიუსაჯა სიკვდილი და რამდენიმე კაცს პატიმრობა 5 წლიდან 10 წლამდე. შეთქმულების გამოძიება გრძელდება, და როგორც კი მთლიანად დამთავრდება, ზანზიბარის რევოლუციური მთავრობა ყველა შედეგს გააცნობს მოსახლეობას.

„პომპადური" გაირიყა

პანამის სავაჭრო გემი „პომპადური" გაირიყა 420 საზღვაო მილზე მანილის სამხრეთ-დასავლეთით. ეკიპაჟი, რომელიც 24 კაცისაგან შედგება, ისევ გემზე იმყოფება. გემისაკენ გაგზავნეს სამაშველო თვითმფრინავები. (საკდესი).

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის მთელი რიგი გაზეთები აშუქებენ საკდესის განცხადებას, თუ რაოდენ საშიშია დასავლეთის სახელმწიფოების გეგმები ეგრეთ წოდებული ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის შესახებ. პრესაში ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის გაფრთხილებას, რომ თუ საჭირო იქნა, იგი თავის მოკავშირეებთან ერთად ჯეროვან დასკვნებს გამოიტანს და შესაბამის ღონისძიებებს მიიღებს საკუთარი უშიშროებისა და თავის მეგობართა და მოკავშირეთა უშიშროების დასაცავად.

დასავლეთის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მინისტრებს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ბოლის გამგზავრებას დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პ. გორდონ-ვოკერის ვიზიტს ბონში. დასავლეთგერმანულ „ნოიე რაინ-ცაიტუნგს" მიაჩნია, რომ ბონის თავდაცვის მინისტრის ფონ ჰასელის მოლაპარაკება ამერიკელ კოლეგა მაკნამარასთან „წარმატებით დამთავრდა".

ბონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტთან დაკავშირებით, დასავლეთგერმანული „გენერალ-ანცაიგერი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დროა ხელი მოაწერონ" ნატოს მრავალმხრივი რაკეტულ-ატომური ძალების შექმნის პროექტს, რომელიც ამერიკელმა და დასავლეთგერმანელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს.

ლონდონის „ტაიმსი" ამტკიცებს, რომ გორდონ-ვორკერის გამგზავრება ბონში მიზნად ისახავს გააცნონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებს „ინგლისის მთავრობის იდეები ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმების შესახებ". ინგლისმა, განაგრძობს გაზეთი, „აღუთქვა, რომ არ აპირებს ხელი შეუშალოს შერეულ ეკიპაჟებიანი წყალზედა ხომალდების შექმნის იდეის განვითარებას, იმას, რომ ამ პროექტს მიენიჭოს უფრო მრავალმხრივი ხასიათი ნატოს გაერთიანებული სარდლობით".

იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში იწყება მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის, „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოათავსა სტატია, რომელშიც საკმაოდ სკეპტიკური ტონით მსჯელობს ამ შეხვედრის შედეგის თაობაზე. (საკდესი).

მართალი მხატვარი

გერცელ ბააზოვის დაბადების 60 წლისთავის გამო

გერცელ ბააზოვი ქართველ ებრაელთა წიაღიდან გამოსული პირველი მწერალი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. იგი დაიბადა ონში 1904 წელს. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში, აქვე მიიღო უმაღლესი განათლება სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლობდა სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე.

გერცელ ბააზოვი ოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნის. მან, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა და პუბლიცისტმა, ადრევე მიიქცია ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება. მაგრამ 1937-38 წლების ქარტეხილმა იმსხვერპლა იგი. შეწყდა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე მწერლის სიცოცხლე. პოეტური ნაწარმოებებიდან, რომლებითაც დაიწყო მისი სამწერლო მოღვაწეობა, მწერალი მალე გადავიდა პროზაული მხატვრული ნაწარმოებების შექმნაზე. აშკარა და უდავოა მისი მოთხრობების, რომანისა და პიესების შემეცნებითი მნიშვნელობა. დიდი იყო მისი ნაწარმოებების რეზონანსი მშრომელ ქართველ ებრაელობაში.

საკუთარი სპეციფიკური თემატური სამყარო გააჩნდა გერცელ ბააზოვს. იგი წერდა უპირატესად ქართველ ებრაელთა ცხოვრებაზე. ეს თემატიკა მან შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. მწერლის კალამს ეკუთვნის ათამდე პიესა, რამდენიმე მოთხრობა, ტრილოგიად ჩაფიქრებული რომანის „ფეთხაინის" პირველი წიგნი, მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი აქტუალურ საკითხებზე.

ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ წლებში მწერალი წერდა ლექსებს და ეწეოდა მთარგმნელობასაც. მის მიერ თარგმნილი ბიბლიური პოემა-პასტორალი „ქებათაქება", შეიძლება ითქვას, საუკეთესოა ამ პოემის ქართულ თარგმანთა შორის.

მრავალმხრივია მწერლის პრაქტიკული მოღვაწეობა. ყველგან, რა დარგში და რა დაწესებულებაშიც მას უმუშავნია, დიდად ნაყოფიერი და თვალსაჩინო, ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი იყო მისი ღვაწლი. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მწერლის პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელიც მან ძირითადად ქართველ ებრაელთა შორის გასწია.

ნიჭიერი მწერალი ულმობლად ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულსა და მოძველებულს ამის უტყუარი საბუთია მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. ქართულ სინამდვილეში მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას გამოხმაურებია იგი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით.

გ. ბააზოვის შემოქმედებაში მკვეთრი სოციალური დაპირისპირებანია ასახული და დასურათებული, მწერალი მძაფრი მხატვრული ხერხებით აგვიწერს, თუ რა ცვლილებანი გამოიწვია დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

ქართველ ებრაელთა ცხოვრებას საუკუნეობრივად ახასიათებდა შეუვალობა, კარჩაკეტილობა; სოციალურ-კლასობრივ ძირეულ ფაქტორებთან ერთად, ამას განაპირობებდა უმთავრესად რელიგია, რომელიც მეტად მძიმე ბოქლომად ჰქონდა დადებული ებრაელთა უბნებსა და სამოსახლო პუნქტებს. რევოლუციამ ჯერ შეურყია, ხოლო შემდეგ სრულიად გამოაცალა ამ კარჩაკეტილობას საფუძვლები, კლასობრივი მკვეთრი სხვაობის დანახვით და კონფლიქტის გამწვავებით აღინიშნა ამ კარჩაკეტილობისაგან მშრომელ და ღარიბ ებრაელთა თავდაღწევა და მათი ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საერთო ფერხულში. ყოველივე ეს მოხდა მწერლის თვალწინ და მისი აქტიური მონაწილეობით.

ნიშანდობლივია, რომ ისტორიული მიდგომა და ისტორიული თვალსაზრისი ახასიათებს გ. ბააზოვის შემოქმედებას ქართველ ებრაელთა ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის მხატვრულად დასურათებაში. მაგალითად, აი რას ამბობს იგი „ფეთხაინში" თავისი ერთ-ერთი გმირის ენით: „რევოლუციას მოუმზადებელი შეხვდა დიდი მასა, რომელიც ძირითადად ატარებდა წვრილი მოვაჭრის სახელს და საკუთარი ზურგით ათრევდა ძველი ქვეყნის უსამართლობას. მსხვილი ვაჭრები, მაღაზიების, სახლების და დიდძალი მანუფაქტურის და სხვადასხვა საქონლის მფლობელნი — ესენი იყვნენ ერთეულები, რომელთაც ეჭირათ დიდი უმრავლესობის ბედი თავიანთი შემოსავალ-გასავლის დავთარში და ტყუილად კი არ უწოდებდნენ ამ უმრავლესობას „მონისიავეებს". ამ სახელწოდებაში მოჩანდა აშკარად ის ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა მათ შორის, და თუ დღემდე არ ხდებოდა მოსალოდნელი დიფერენციაცია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საუკუნეებმა და ძველი ქვეყნის წარმომადგენლებმა ათას თაფლიაშვილებს ყურები გამოუჭედეს იმით, რომ ქვეყნად არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა: ებრაელები და არაებრაელები. რაც შეეხება ებრაელებს, არ არსებობს არავითარი დაყოფა, ვინაიდან ნათქვამია: „ქოლ ისრაელ ხაბერიმ"...

ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხისა და ცვლილებების მხატვრულად დასურათების საქმისადმი ისტორიული მიდგომა წითელი ზოლივით გასდევს გ. ბააზოვის მთელ შემოქმედებას. მან ეს ყველაზე ნათლად და მკაფიოდ გამოხატა პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ". ეს პიესა, შეიძლება ითქვას, ნახევრად ალეგორიულ-სიმბოლიური ნაწარმოებია. ავტორი მიზნად ისახავს ზოგადი შეფასება მისცეს ქართველ ებრაელთა მთელ ისტორიულ წარსულს და ხაზგასმით მიგვითითებს იმაზე, თუ რა იყო მთავარი მათს ცხოვრებაში წინათ და რა არის მთავარი ახლა. პირდაპირი სახით პიესა მიძღვნილია საკოლმეურნეო მოძრაობისადმი, რომელიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. არაპირდაპირი სახით კი ეს პიესა მიგვითითებს შემდეგ ფაქტზე: საზღვარი დაედო მრავალსაუკუნეობრივ დუმილსა და ღარიბ ებრაელთა შერიგებას ბედუკუღმართ ცხოვრებასთან. ქართველი ებრაელები მუნჯები იყვნენ საუკუნეთა მანძილზე, ძალაუნებურად ურიგდებოდნენ თავიანთ უკუღმართ ბედს, სიღარიბე იყო მათი ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

აღსანიშნავია, რომ პიესას — „მუნჯები ალაპარაკდნენ" ავტორმა თავდაპირველად შემდეგი სათაური მისცა: „როცა მუნჯები ალაპარაკდებიან". ნაწარმოების დასათაურება ბიბლიური ფრაზეოლოგიიდან არის შერჩეული და ამ გზით ავტორი პიესის პირდაპირ შინაარსზე მითითებასთან ერთად აყენებს მოთხოვნას — შეუმჩნევლად დატოვებულ და მივიწყებულ არ იქნას ნაწარმოებისათვის მის მიერ საფუძვლად დადებული ისტორიული თვალსაზრისი.

ნოველებისაგან აკინძული ფართო მხატვრული პანორამა რომანი „ფეთხაინი", რომლის მხოლოდ პირველი წიგნის დაწერა მოასწრო ავტორმა. რომანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გერცელ ბააზოვის შემოქმედებაში. მისი სიუჟეტი ვითარდება საბჭოთა წყობილების დროს თბილისის ცხოვრების ფართო ფონზე. ამ რომანს ნახევრად ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს.

ფეთხაინი ქართველ ებრაელთა მოსახლეობის განცალკევებული უბანი იყო საქართველოს დედაქალაქში. იგი საქართველოში არსებულ ებრაელთა სხვა სამოსახლო უბნებისაგან არაფრით არ განსხვავდება. აქაც იგივე წყვდიადია, როგორიც სხვაგან, ოღონდ ეს წყვდიადი შედარებით უფრო სწრაფად იფანტება.

საისტორიო წყაროებიდან, მოგზაურთა წიგნებიდან და ზეპირი გადმოცემებიდან მწერლისათვის ცნობილია, რომ საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში, რომელსაც კლდის უბანი ეწოდება, ოდესღაც სასაფლაო ჰქონდათ ებრაელებს, და აქედან არის წარმომდგარი ამავე უბნის მეორე სახელწოდება ფეთხაინი, რომლის სწორი ფორმაა ძველი ებრაული შედგენილი სიტყვა ბეთ-ხაიმ. ეს უკანასკნელი კი ძველებრაულად ნიშნავს პირდაპირი მნიშვნელობით სიცოცხლის სახლს, მაგრამ ყოველთვის ფიგურალური მნიშვნელობით არის გამოყენებული და ნიშნავს სასაფლაოს, ავტორი ფეთხაინის სიმბოლური გააზრების ფონზე ძველი და ახალი ცხოვრების შეჯახებას გვისურათებს.

გერცელ ბააზოვის პიესა „იცკა რიჟინაშვილი" ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა ხალხის რევოლუციური ბრძოლების ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, ხოლო თვით ავტორის დრამატულ ნაწარმოებთა შორის — ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი. ამ ნაწარმოებით ავტორმა გააცოცხლა და უკვდავყო ქართველ ებრაელთა წიაღიდან გამოსული მგზნებარე ბოლშევიკის, 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი გმირის იცკა რიჟინაშვილის სახელი, სახელი რევოლუციონერისა, რომელიც მეფის მოხელე ჯალათებმა რევოლუციური ძალების დასაშინებლად ვერაგულად მოკლეს შავბნელი რეაქციის პერიოდში.

ამ ნაწარმოებით გერცელ ბააზოვმა მკაფიოდ თქვა, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის მტრულ დამოკიდებულებას არასოდეს არ ჰქონია ადგილი და რევოლუციამ მათი საუკუნეობრივი მეგობრობა საიმედოდ განამტკიცა. მწერალს ნაჩვენები აქვს, რომ ეს მეგობრობა ისევე დაუკავშირდა იცკა რიჟინაშვილის სახელს და მის ტრაგიკულად დაღუპვას, როგორც ეს დაუკავშირდა პოგრომების დროს 1905 წლის 21 ოქტომბერს ებრაელთა დასაცავად ოდესაში შავრაზმელთა წინააღმდეგ გამოსული ქართველი ქიმიკოსის საბა კლდიაშვილის ტრაგიკულად დაღუპვას.

გერცელ ბააზოვის დრამატურგად ზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ ყურადღებას, რომელიც მისდამი გამოიჩინა ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელმა კოტე მარჯანიშვილმა.

ბააზოვის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე კოლორიტული ნაწილია პერსონაჟთა დიალოგები, რომლებიც გარდა იმისა, რომ ტიპიურ სიტუაციათა მხატვრულად გადმოცემისა და შექმნის ნიმუშებს წარმოადგენენ, ქართველ ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშებად უნდა ჩაითვალონ.

„ფეთხაინის" ავტორის შემოქმედებას აქტუალობა არ დაუკარგავს. იგი კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს ახალი საბჭოთა ადამიანის სულისკვეთების ჩამოყალიბების საქმეს და უპირველეს ყოვლისა შესანიშნავი ნიმუშია ადამიანისადმი ადამიანის სიყვარულისა და მისი ღირსებებისადმი უსაზღვრო პატივისცემისა.

მ. მამისთვალიშვილი.

17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

შენ პლანეტის მომავალი ხარ

ადევნება თვალი შენი წინაკაცის ნაფეხურებს და მხოლოდ ცოტა ხანს გაჰყვები გაკვალულს. დასწვდება შენი ხელი უზარმაზარ წიგნს ისტორიისას, წაიკითხავ და გაგინათდება სახე სიმართლის ხმამაღალი ძახილით: გზები! გზები... ყველა თავისკენ გიხმობს და გეძახის, გზებს იახმნის ტოტიც აჩნევიათ და სვასტიკიან მუხლუხოთა ნაფეხურებიც. ამოირჩიე მათ შორის სწორი გზა. შენ პლანეტის მომავალი ხარ. მოვა დრო, და აღარ იქნებიან სასაზღვრო ბოძები. არ შეგიშფოთდება სუნთქვა ავისმაუწყებელი გრუხუნითა და სირენების კივილით.

...შენ კი, საბჭოთა სტუდენტი, მოაბიჯებ თავისუფალი ქვეყნის უსასრულო გზებზე შუბლგახსნილი და ამაყი. მოაბიჯებ წიგნებით და რვეულებით ხელში. გაფართოებული თვალებით უცქერი, კამათობ, ოცნებობ, ღამეს ათენებ, რომ ხვალ ლილინით ახვიდე თანამგზავრის კაბინაში, ზღვის ფსკერზე ეძებო მარგალიტი, მთვარეს დაადგა ფეხი და ამოუცნობს მისწვდეს სკაფანდრიდან შენი ჩაუქრობი თვალთა ნათელი. შენით ამაყობენ. შენი იმედი აქვთ... სტუდენტი გქვია შენ.

როგორ ჰგვანან ერთმანეთს მთები და ველები. წითელია ყველგან ყაყაჩო და ხორბლისფერია ყველა ჯიშის ხორბალი. შენ კი რადა ხარ ასე სხვადასხვა, ადამიანთა ბედო!

მიაბიჯებ შენ ბრუკლინის ხიდზე, ნიუ-იორკელო სტუდენტო დეივ! ასატანია ეს ხმაური, სიცივესაც გაუძლებს კაცი. ჩქარია შენი ნაბიჯები და კიდევ უფრო ჩქარა სცვლიან ფიქრები ერთმანეთს. ქუჩაზე გაფიცული მტვირთავები სხედან, დარდისა და სიბრაზისაგან შუბლი დაღარვიათ, ქვედა ტუჩი ჩამოვარდნიათ ზანგებს. შენ არ გადახვალ ქუჩაზე, დეივ! ცოტა ხანს ფიქრობ, და გაფიცულებს უერთდები. მერე გაფიცულთადმი თანაგრძნობისათვის გასამართლებენ. ათვალწუნებით გიყურებენ კოლეჯის პატრონები. შენი ეშინიათ, შენ გაპატიმრებენ და ვერ კი გერევიან. შენ სტუდენტი ხარ.

კალენდარზე გამრავლდნენ ნათელი დღეები. დღეს სტუდენტთა საერთაშორისო დღეა. შენ ხმას აწვდენ, ჩემი ქვეყნის სტუდენტობავ, პლანეტის უსაზღვროებას. ძლიერია ხმა შენი და დაურღვეველია შენი რწმენა.

შენ იცი, რომ 1939 წლის დღევანდელ დღეს გაყიდული პრაღის ჯალათები მხეცურად გაუსწორდნენ მეამბოხე სტუდენტებს.

შენ იცი, რომ ჯერ ისევ ბოლავს ხიროსიმა და ნაგასაკი, შენ იცი, რომ ახლაც სიმწრის ოფლი დასდით ბუხენვალდის სიკვდილის წისქვილებში დაფქულ ადამიანთა ძვლებს.

შენ იცი, რომ ქვეყნად არსებობს ტრეტიაკოვის და დრეზდენის გალერიები და არსებობს ოსვენციმი და მაიდანეკიც.

— მშვიდობა, ძმობა, სოლიდარობა — იმეორებს შენი ჯანსაღი გული და წერს შენი ძლიერი მარჯვენა.

რა შორს იყავ ჩემი წინაპრებისათვის, ტრაპიზონელო სტუმარო, და რა ახლოს ხარ, მიჩიგანელო და ბერლინელო სტუდენტო.

გიცნობ, რა კარგად გიცნობ, პარიზელო ქალიშვილო კოლეტ კარე! თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა მერი ხუხუნაიშვილმა მიჩვენა შენი წერილები. თურმე რა ახლო მეგობრები ხართ, რა თამამად ესაუბრები თბილისელ გოგონას შენი სიყვარულის ლამაზ მოთხრობებზე.

კარნა მუნგერ! რიზა ელბეს რაიონის ახალგაზრდა მასწავლებელო, სწორედ დღეს მიიღო გერმანული ენის ახალგაზრდა სპეციალისტმა ლაურა ლალიძემ შენი წერილი. მომენატრეო, იწერები, მალე ჩამოდიო, ვისაუბროთ, ქორწილი არ გამომაპაროო.

ხშირად მომაგონდები, ჯორჯ ბეხტ, ლონდონელო პატარა ბიჭო, დავამზადე შენი სურათები და მალე გამოგიგზავნი, რა გულწრფელი ღიმილი დაგთამაშებს სახეზე თბილისური მზის ქვეშ მოკლე შარვლით მდგომს. რა გულმოდგინედ უსმენს სვეტიცხოველზე მოსაუბრე გიდს შენი დედიკო.

გახსოვს, გიუნტერ მალხოფ, ბუდაპეშტის სპორტის გამაჯანსაღებელ ბანაკში ჩვენი შეხვედრა? ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი რომ ვიღრძე, და შენ ხელში აყვანილი მატარე საექიმო პუნქტამდე. გახსოვს?. მეუბნებოდი, მამა ომში დამეღუპაო; მეც ომში დავკარგე მამა-მეთქი, — აფსუს, . იქნებ შეხვდნენ ერთმანეთს, — ეს ვთქვით და გავჩუმდით.

ვინ იცის... მე მეჯავრება ეს სიტყვა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ კიდევ გაიღვიძოს ომის ღმერთმა... და ჩვენ იარაღით ხელში დავდგეთ ერთმანეთის პირისპირ.

— არ მესროლო, ბიჭო, შენ მალხოფი ხარ, — დაგიძახებ მე. მიცნობ უსათუოდ, მიცნობ, გიუნტერ, იარაღს გადააგდებ და გადამეხვევი.

დღეს კი უნივერსიტეტის 98-ე აუდიტორიაში გვერდით მიზის კიბერნეტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ბუდაპეშტელი ანდრიაშ კომლოში და ქართულად მესაუბრება.

დღეს მსოფლიოს სტუდენტთა ამ ზეიმზე მე გეძახით თქვენ, კეთილი ნების ახალგაზრდებო, თქვენ, ვინც ატომს აიძულებთ ადამიანებს ემსახუროს, ვინც სამშვიდობო პლაკატებს ხატავთ, ვინც ხმა მიეცით გოლდუოტერის წინააღმდეგ და ცეცხლში დგახართ ვიეტნამელ პარტიზანთა მხარდამხარ...

მომეცით ხელი! მაღლა ავწიოთ, მზისკენ შევაბრუნოთ, გულში ჩავიკრათ ესოდენ პატარა და ლამაზი პლანეტა ჩვენი.

რ. მიშველაძე.

• • •

სურათზე: ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სასიხარულო სიახლენი

☐ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ნავთობბაზის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობა. ახალ ლამაზ ნაგებობაში ორი საძინებელი კორპუსია 100 ბავშვისათვის.

☐ **ქობულეთი.** (საკ. კორ.). სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოფელი წინსვლა (ქობულეთის რაიონი). უკანასკნელ ხანს აშენდა 8-წლიანი სკოლის ახალი შენობები, გაიყვანეს სამანქანო გზა.

ამ დღეებში კი წინსვლელებმა კიდევ ერთი სიახლე იზეიმეს — აიგო ორსართულიანი შენობა, რომლის პირველი სართული დაეთმობა კულტურის სახლს 700-ადგილიანი დარბაზით, აქვე იქნება ბიბლიოთეკა. მეორე სართულზე კი მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა.

☐ **ამბროლაურის** რაიონის სოფლებს ვერ აკმაყოფილებდა ელექტროენერგიით ჯუჯორისა და რიცეულის ჰიდროელსადგურები. დიდი მუშაობა გასწია „საქსოფლელექტროშენის" № 6 სპეცსამმართველომ, რომელმაც დაამონტაჟა სარესპუბლიკათაშორისო მაღალი ძაბვის ხაზი, რის შედეგადაც რაიონის ელექტროქსელი ჩაირთო „საქენერგოს" სისტემაში.

აკ. კერესელიძე.

მზის სიცოცხლის კანონები

საბჭოთა ასტრონომის აღმოჩენა

◆

მეცნიერებმა დიდი ხანია შეამჩნიეს მჭიდრო კავშირი მზის აქტივობასა და დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე ისეთ მოვლენებს შორის, როგორიც არის მაგნიტური ქარიშხლები, პოლარული ნათება, რადიოტალღების გავრცელება და ა. შ. მზის აქტივობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მზის დისკოზე ლაქების ჯგუფების გამოჩენა. მზის ლაქების არე (აქტიური არე) წარმოშობს ნაწილაკთა ნაკადებს, რომლებიც დაახლოებით დღეღამის შემდეგ აღწევენ დედამიწას. მრავალი წლის დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მზის ლაქების რაოდენობა პერიოდულად იცვლება. მზის თვითეული ციკლი დაახლოებით 11 წელიწადს გრძელდება. ლაქების მაქსიმუმი შეიმჩნეულია ხოლმე ციკლის დასაწყისიდან 3-4 წლის შემდეგ.

ციკლის განმავლობაში ლაქები ჩნდებიან სხვადასხვა მანძილზე მზის ეკვატორიდან. მაგალითად, ციკლის დასაწყისში ლაქების ზონა ეკვატორიდან საკმაოდ შორს მდებარეობს. დაახლოებით 15 გრადუს განედებზე შეიმჩნევა აპოგეა ლაქების განვითარებაში — მათი ფართობი მაქსიმალურია. ბუნებრივი იყო ვარაუდი, რომ მზის აქტივობის მაქსიმუმი დროის მიხედვით ემთხვევა ლაქების ყველაზე დიდი ფართობის პერიოდს. გეოფიზიკურ მოვლენათა განვითარება თითქოს ადასტურებდა ამ ვარაუდს.

მაგრამ ექსპერიმენტის ტექნიკა ძალიან სწრაფად ვითარდება. და საბჭოთა მეცნიერის — პულკოვოს ობსერვატორიის კისლოვოდსკის ახლო მდებარე სამთო ასტრონომიული სადგურის ხელმძღვანელის მსტისლავ გნევიშევის დეტალურმა კვლევამ შესაძლებელი გახადა მზის მოქმედების ახალი კანონების აღმოჩენა.

მეცნიერი აკვირდებოდა გვირგვინს — მზის ატმოსფეროს ყველაზე გარეთა ნაწილს. ლაქებს ზემოთ გვირგვინი „აგზნებულ" მდგომარეობაშია — უფრო კაშკაშაა, ვიდრე მშვიდ ადგილებში, და დედამიწის „ამგზნებ" ნაწილაკთა წყაროს წარმოადგენს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი რამ: მზის ერთი ციკლის განმავლობაში აქტივობის ორი მაქსიმუმია. პირველი მაქსიმუმი მართლაც დაკავშირებულია ლაქების ყველაზე დიდ ფართობთან. იგი ხასიათდება გვირგვინის სიკაშკაშის გაძლიერებით თითქმის ყველა აქტიურ განედზე. მეორე, ახალი მაქსიმუმი, რომელიც მდგომარეობს გვირგვინის სიკაშკაშის მნიშვნელოვან გადიდებაში დაბალ განედებზე, შესამჩნევია პირველიდან 2-3 წლის შემდეგ. ღირსშესანიშნავია ის, რომ მეორე მაქსიმუმი გვირგვინში თავს იჩენს იმდენადვე ძლიერად, რამდენადაც პირველი, მაშინ როცა ლაქების ფართობი ამ პერიოდში უკვე არსებითად ნაკლებია.

საქმე ის არის, რომ გვირგვინში აგზნება დამოკიდებულია არა ლაქების ფართობზე, არამედ ფართობის ცვლილების სიჩქარეზე. საბჭოთა ასტრონომმა აღმოაჩინა, რომ ეს სიჩქარენი პირველი და მეორე მაქსიმუმისათვის ერთნაირია.

გნევიშევმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მეორე მაქსიმუმი დიდ გავლენას უნდა ახდენდეს დედამიწის მოვლენებზე: იგი ხომ წარმოიშობა მზის დაბალ განედებზე, რომლებიც უფრო ახლოა დედამიწის ორბიტის სიბრტყესთან. ეს უნდა ზრდიდეს დედამიწაზე ნაწილაკთა ნაკადის მოხვედრის შესაძლებლობას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბიოლოგებმაც შეამჩნიეს მზის აქტივობის ორი მაქსიმუმის არსებობა, როცა აკვირდებოდნენ შუქზე ბაქტერიების ზრდის სიჩქარეს.

მ. ლივშიცი.

ცნობები • ფაქტები

მკითხველის კალმით

☐ **საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა თელავის თეატრში გამართეს ლექცია-კონცერტი თემაზე: „ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკა". ლექცია წაიკითხა მუსიკათმცოდნემ ე. მაჭავარიანმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა ბ. ჭიაურელმა, გ. ხატიაშვილმა, ა. ბეგალიშვილმა, გ. ბარნაბიშვილმა, ე. მირიანაშვილმა და სხვებმა.

ე. სალარიძე.

☐ **კასპი.** კარგი საჩუქარი მიიღეს დოესელმა კოლმეურნეებმა — დამთავრდა ჭყოპიან-დოესის სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა; ამ ქსელიდან გარდა დოესისა, სასმელი წყალი მიიღეს აგრეთვე სოფლების ზემო ხანდაკისა და ყარალაჯის მოსახლეობამ.

გ. მალაციძე.

☐ **მაიაკოვსკის** რაიონის მთიანი სოფლების გორას, ფერეთის და კიროვის მშრომელთა 800-ზე მეტ ოჯახში პირველად აკიაფდა ილიჩის ნათურები.

ელექტრიფიკაციის სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე უხუთის, საპრასიის, რომანეთის, ყუმურის და სხვა მაღალმთიანი სოფლების კოლმეურნეობებში.

გ. მჭავანაძე.

მსახიობის იუბილე

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და თეატრალურმა საზოგადოებამ დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო მოუწყეს ცაგერის სახალხო თეატრის მსახიობს ნინო მეთოდეს ასულ ყუბუსიძეს.

მოხსენება ნ. ყუბუსიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილების გამგემ ა. დევიძემ.

იუბილარს მიესალმნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და სახალხო თეატრის მსახიობები. დასასრულ, ნ. ყუბუსიძის მონაწილეობით გაიმართა მხატვრული განყოფილება.

ბ. ხეცურიანი.

ლესკოვის „ცაცია" ეკრანზე

მოსკოვი, (საკდესის კორ.). ნ. ლესკოვის განთქმული ზღაპარი „ტულელი ცაცია და ფოლადის რწყილი" პირველად დაიდგა ეკრანზე. მულტიპლიკაციური კინოს უხუცესმა რეჟისორმა ი. ივანოვ-ვანომ თავის მოწაფეების ჯგუფთან, მხატვარ-დამდგმელებთან ერთად შექმნა ფერადი ნახატი ფილმი „ცაცია" და თავისი ნამუშევარი შესანიშნავ რუს ხელმარჯვე ოსტატებს უძღვნა.

რეჟისორი საკმაოდ ზუსტად მისდევს ლესკოვის ტექსტს, რომელსაც მთელი ფილმის მანძილზე კითხულობს დიქტორი. სურათი გაკეთებულია რუსული ხალხური სურათებისა და XIX საუკუნის შუა წლების რუსული გრავიურის ყაიდაზე.

ქუთაისის თეატრის დადგმა

„ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი"

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — კ. ვიტლინგერის ტრაგიკომედია „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი". სპექტაკლი დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ, მხატვრულად გააფორმა ალ. ბრანოვერმა, მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის გ. არაყიშვილს.

გამოიწერეთ ჟურნალი

აგიტატორი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალი **„საქართველოს აგიტატორი"** გამოდის თვეში ორჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

ჟურნალი საჭირო სახელმძღვანელოა საგიტაციო მუშაობისათვის. იგი ბეჭდავს სტატიებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაზე, მეთოდურ კონსულტაციებს; მასალებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავეთა გამოცდილებაზე, სახალხო კონტროლიორების მუშაობაზე, ეკონომიურ და ათეისტურ საკითხებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებზე; სისტემატურად ათავსებს მასალებს საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე; პასუხს შეკითხვებზე; ჟურნალის ფურცლებზე წინასწარ ქვეყნდება თემები და ლიტერატურა საუბრების მოსაწყობად, ციფრები, ფაქტები, მაგალითები, დიაგრამების ნიმუშები თვალსაჩინო აგიტაციაში გამოსაყენებლად, ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი სპეციალური წერილები და სხვა მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოხსენებებსა და საუბრებში.

პარტორგანიზაციების მდივნებო, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებო, აგიტატორებო! არ დაგავიწყდეთ ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" გამოწერა. იგი დიდ დახმარებას გაგიწევთ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

ჩემპიონატები • ტურნირები • მიმოხილვა

ოსტატობა, სილამაზე ყინულზე

დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მოციგურავეთა საჩვენებელი გამოსვლები

◆

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში თავისი გამოსვლები დაამთავრეს სსრ კავშირის უძლიერესმა მოციგურავეებმა. ორი დღის განმავლობაში უჩვენებდნენ ისინი თავიანთ ოსტატობას თბილისის მაყურებლებს.

დასკვნითი ასპარეზობის დაწყების წინ მაყურებელთა წინაშე კვლავ თბილისის საციგურაო სკოლის აღსაზრდელები წარსდგნენ, შემდეგ კი მოსკოველმა და ლენინგრადელმა სპორტსმენებმა საინტერესო და შინაარსიანი პროგრამა აჩვენეს.

ამ დღეს შეუსრულდა 11 წელი ლენინგრადელ ი. ბობრინს. მის მიერ შესრულებული ცეკვა „ცელქი" დიდი მოწონებით სარგებლობდა. სპორტის სასახლის ყინულის მოედანზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ასპარეზობის პრიზიორები, რომელთა შორის განსაკუთრებული მოწონება ხვდათ 14 წლის მოსკოველ ე. შჩეგლოვას და სპორტის ოსტატს ლენინგრადელ ვ. ფომინს. პირველმა ბრწყინვალედ შეასრულა ვარიაციები ბალეტ „ჟიზელიდან", მეორემ კი ტემპერამენტით, მაღალტექნიკურად — რიტმული ცეკვა. ორივე სპორტსმენს ორჯერ გაამეორებინეს ცეკვის ფინალი.

მაღალი ოსტატობით, ტექნიკით, შესრულების სრულყოფით გამოირჩეოდა წყვილთა შორის სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონების მოსკოველების ლ. პახომოვასა და ა. რიჟკინის, ექს-ჩემპიონების ნ. ველესა და ა. ტრეშჩოვის, ლენინგრადის ჩემპიონების ი. ნეჩკინასა და ი. დუბტერეჩკის, ა. მიშინის, ე. კოტოვას, სპორტის ოსტატ ტ. ლოგინოვას, ნ. რიბაკოვასა და ვ. კამინოვის და სხვათა გამოსვლები.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, რესპუბლიკურმა და საქალაქო გაზეთებმა დააწესეს სპეციალური პრიზები. გამოსვლების შემდეგ ჟიურიმ პრიზები მიანიჭა მათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორი დღის ასპარეზობაში.

გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური პრიზი წყვილთა სპორტული ცეკვის საუკეთესო კომპოზიციისათვის მიენიჭათ სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონებს მოსკოველებს ლიუდმილა პახომოვასა და ალექსანდრე რიჟკინს.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზი მიიღეს ლენინგრადელებმა ნ. რიბაკოვამ და მ. კამინოვმა; გაზეთ „სოფლის ცხოვრების" პრიზი ე. კოტოვამ (მოსკოვი), ჟურნალ „დროშის" პრიზი — ვ. შევლიაკოვმა (ლენინგრადი); გაზეთ „თბილისის" პრიზი — ე. შჩეგლოვამ (მოსკოვი); გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" პრიზი — ვ. ფომინმა (ლენინგრადი); გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზი — ი. ბობრინმა (ლენინგრადი); გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზი — ნ. ველემ და ა. ტრეშჩოვმა და გაზეთ „ლელოს" პრიზი — დაძმა ე. და ა. ულანოვებმა.

• • •

სურათზე: ლ. პახომოვა და ა. რიჟკინი.

ყველაფერს გადაწყვეტს გადადებული პარტიების დამთავრება

ჭადრაკი

თელ-ავივი, 15 ნოემბერი. (საკდესი). მეხუთე ტური, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იყო საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალურ შეხვედრებში. მხოლოდ ორ მატჩში გამოვლინდა გამარჯვებული. ჩეხოსლოვაკიელმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ოლიმპიადის მასპინძლები — 3,5:0,5 და არგენტინის გუნდმა — ჰოლანდიელები — 3:1.

ამ ტურის სენსაცია იყო მსოფლიო ექს-ჩემპიონის ვ. სმისლოვის დამარცხება, რომელიც პირველ დაფაზე თამაშობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩში. მისმა მეტოქემ გროსმაისტერმა ვ. უნციკერმა, რომელიც მეთოდურად ზრდიდა თავის პოზიციურ უპირატესობას, როგორც სპეციალისტებმა თქვეს, „სრულიად მოულოდნელი გამარჯვება" მოიპოვა. მათი აზრით, ასევე მოულოდნელი იყო საყაიმო შედეგი ბ. სპასკისა და ვ. ბიალასის შეხვედრაში. ამ მატჩის ორი პარტია დაუმთავრებელი დარჩა (ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:0,5 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის სასარგებლოდ). სწორედ ეს გადადებული პარტიები გადაწყვეტენ შეხვედრის ბედს.

მოახლოებული ოქროს ფინიში

◇ **ტაშკენტი.** (16 ნოემბერი. ტელეფონით სპეც. კორ.). უზბეკი ხალხი დიდი დღესასწაულის მოლოდინშია. მალე იგი იზეიმებს საბჭოთა უზბეკეთის 40 წლისთავს. ამ დღისათვის ლამაზად მოურთავთ დედაქალაქი.

მოახლოებულ ზეიმს დაემთხვა დიდი ფეხბურთის ოქროს ფინიში.

ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ ჩამოსულებს, მაგრამ თბილისელები მაინც ჭარბობენ. როგორც ქალაქის სპორტკავშირში გვაცნობეს, ფეხბურთის მოყვარულთა ყველაზე დიდ ჯგუფს ხვალ და მატჩის დღეს, 18 ნოემბერს მოელიან. რომ არაფერი ვთქვათ ლაინერთა რიგგარეშე რეისებზე, ტაშკენტისაკენ მოდის ტურისტული მატარებელი.

ერთი სიტყვით, მეტოქეებს — „ტორპედოსა" და „დინამოს" გულშემატკივრები ჩვეულებრივზე მეტი ეყოლებათ, მაგრამ სად დაატევენ მათ? სტადიონი ხომ 65 ათას მაყურებელს იტევს? ამ კითხვაზე სტადიონის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვიპასუხა, განა თქვენთვის არ არის ცნობილი ასეთი ადგილებიო, და ხელით ირგვლივ მდებარე ნაგებობათა სახურავებზე მიგვითითა.

მრავალ სპორტულ მიმომხილველთან ერთად აქ ჩამოვიდა რადიოს, ტელევიზიისა და კინოს მუშაკთა დიდი ჯგუფი. ისინი მთლიანად გადაიღებენ მატჩს და თბილისელებს შესაძლებლობა ექნებათ უახლოეს დღეებში ცისფერ ეკრანზე იხილონ თამაშის მსვლელობა.

ტაშკენტელებს დროულად უზრუნვიათ სტადიონის მომზადებაზეც. აქ დღესაც მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები.

ალბათ იკითხავთ თუ როგორი ამინდია. იგი ჩინებულია — მშრალი, მზიანი და თბილი. სინოპტიკოსების ცნობით ამინდი არ შეიცვლება. ასე, რომ გულშემატკივრები შეიძლება მშვიდად იყვნენ.

დინამოელები ტაშკენტს 14 ნოემბერს საღამოს ეწვივნენ, მათი მეტოქე „ტორპედო" კი ერთი დღით ადრე ჩამოვიდა. გუშინ გუნდს შეუერთდა კოლექტივის სული და გული ვორონინი.

ტორპედოელები კმაყოფილი არიან იტალიის ტურნეთი. როგორც ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები აცხადებენ, ეს იყო ჩინებული დასვენება, სპორტული ფორმის დახვეწა, სრულყოფა. აქ ამბობენ, რომ კავაზაშვილი კვლავ არ იქნება კარში, შესაძლოა არც ივანოვმა ითამაშოს ტრავმის გამო. ან თუ გამოვა მთელი დატვირთვით ვერ ითამაშებს. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია დავუცადოთ ოქმის შევსებას, 11 ფეხბურთელის დასახელებას.

მაგრამ აი დღეს „ტორპედო" ვარჯიშობდა. კავაზაშვილი იდგა კარში, ივანოვი კი არ გამოჩენილა.

თბილისელები ცხოვრობენ ქალაქიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით დასასვენებელ სახლში. გუნდის ყოველი მოთამაშე მხნედ გრძნობს თავს, თვალში გვხვდება შესანიშნავი მეგობრული განწყობილება, სწრაფვა დიდი მიზნისათვის ხორცის შესასხმელად. როგორც ვარაუდობენ, გუნდის შემადგენლობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება.

გუშინ დინამოელები „პახტაკორის" მოედანზე პირველად გამოვიდნენ, ჰქონდათ ვარჯიში მთელი დატვირთვით.

ვ. ბაბელია.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

დარ-ეს-სალამი, 16 ნოემბერი. (საკდესი). „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელებმა აქ მოაწყვეს თავიანთი პირველი მატჩი ტანგანიკაში ამ ქვეყნის ნაკრებთან და მოიგეს 7:2. ეს მატჩი ნახა დედაქალაქის 40 ათასზე მეტმა მცხოვრებმა.

რაბატი, 16 ნოემბერი. (საკდესი). მინსკის „დინამოს" ფეხბურთელები მაროკოში შეხვდნენ ქალაქ მარაკეშის „კასმის" გუნდს. ანგარიშია 0:0.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1964 წლის 9 დეკემბერს, დღის 12 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **იგორ ვასილის-ძე კრავცოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქართველოში მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების გავრცელების საკითხები (1890-1905 წწ.)"**

17 დეკემბერს, დღის 2 საათზე, № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მზია კონსტანტინეს ასული ბაქრაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ჟ. პ. სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუცია მისი ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით".**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს დოცენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

1. **სოც. სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრა** — 1 ერთეული.
2. **მეძროხეობა-მეცხენეობის კათედრა** — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან. განცხადება და სათანადო საბუთები (კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული პირი, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, დაბეჭდილი სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებების სია) შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 18, ტელეფონი 2-35-10.**

თეატრები

17 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — აბესალომ და ეთერი (მე-14 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სიმღერა შევარდენზე (პრემიერა, მე-8 აბონ. და გაცდენილი აბონემენტები), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (მე-9 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **სანკულტურის** — როგორ მოვხვდი საგიჟეთში.

კონკურსი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს 1964 წლის ასპირანტურაში შესასვლელად შინაგან სნეულებათა სპეციალობაში ერთ ვაკანტურ ადგილზე.

საბუთების მიღება წარმოებს ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (მელიქიშვილის ქ. № 10).

საბუთების შეტანის უკანასკნელი ვადაა 1964 წლის 1 დეკემბერი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

17 ნოემბერი

12.00 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „ბანქოს მოთამაშე", 18.00 — გადაცემათა პროგრამა", 18.05 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — ჟურნალ „დილას" მიმოხილვა, 18.45 — გადაცემა — „სტუდენტურ თამაშობათა ჩემპიონები", 19.05 — კინონარკვევი, 19.25 — განცხადებები, 19.30 — „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი", 20.05 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „ბანქოს მოთამაშე", 22.25 — ახალი ამბები.

რადიო

18 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მუსიკა ბალეტისათვის „დღესასწაული ყინულზე", 09.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 10.15 — კ. კალაძის ლექსები, 10.30 — ე. უშპაი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 11.15 — ნაწყვეტები ბოროდინის ოპერა „თავად იგორიდან", 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა კონცერტი, 13.40 — უკრაინული სიმღერები, 14.00 — კონცერტი — ნარკვევი — „სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. სტეპანოვა", 15.00 — რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა (მოსკოვი), 16.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ტაშკენტიდან, 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — „მღერის ვ. ლევკო", 19.20 — გაზეთ „იზვესტიის" მიმოხილვა (მოსკოვი), 19.30 — საუბარი — „საქართველოს მინერალური ნედლეული და მისი გამოყენება ქიმიურ მრეწველობაში", 19.45 — სიმღერები დები იშხნელების შესრულებით, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.15 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 22.00 — გადაცემა — „სიმონ ხუნდაძე", 23.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიულის — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-89, მრეწველობის — 3-20-43, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11381 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.